ქ. დუშეთის ისტორიული ქუჩების ურბანული განახლება

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოსდაცვითი მიმოხილვა

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი

დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ

იანვარი 2018

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი

ქვე-პროექტის მოკლე აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ქ. დუშეთის ისტორიული ქუჩების ურბანულ რეგენერაციას. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. დუშეთში, დუშეთის მინიციპალიტეტი განეკუთვნება მცხეთა-თიანეთის რეგიონს, ის ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ქ. დუშეთი თბილისიდან 50 კმ-ით არის დაშორებული. დუშეთში მოხვედრა შესაძლებელია თბილისი-მცხეთა-სტეფანწმინდის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის საშუალებით.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ქალაქ დუშეთის ისტორიულ უბანში მდებარე ისტორიული სახლების რეაბილიტაციას, კერძოდ ერეკლე II-ის ქუჩაზე 8 სახლი (#1, #3, #5, #7, #9-#11, #13, #15, #17), კოსტავას ქუჩაზე 2 სახლი (#30, #32), წმინდა ნინოს ქუჩაზე 5 სახლი (#14, #16, #18, #19, #20), რუსთაველის ქუჩაზე 11 სახლი და 3 შენობა (სახლები: #39, #41, #43, #45, #51, #68, #70, #72, #74, #76, შენობები #14, #19, #56 და #64), ასევე ცოტნე დადიანის და შამანაურის კვეთაზე მდებარე ე.წ აპრელოვის სახლი და ე.წ. თეატრის ქუჩაზე (#2) მდებარე ილია ჭავჭვაძის საცხოვრებელი სახლი, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე 3 სახლი (#6, #8, #10), ნაზი შამანაურის ქუჩაზე 6 სახლი (#6, #12, #14, #22, #55, #57).

სულ ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილია 40 სახლის რეაბილიტაცია. აღნიშნული სახლებიდან 24 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ძეგლია (კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბრძანება #03/224; 12.12.2013).

სარეაბილიტაციო სახლების უმრავლესობა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისშია აშენებული. იქიდან გამომდინარე, რომ მათ უმეტეს ნაწილს 2013 წლამდე არ ქონდა მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილის პირვანდელი, აუთენტური სახე მრავალრიცხოვანი გადაკეთებების გამო საკმაოდ შეცვლილია. ამიტომ პროექტის საწყის ეტაპზე განხორციელდა „ქ. დუშეთის ისტორიული ცენტრის საცხოვრებელი არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი“. აღნიშნული კვლევის პროცესში გათვალისწინებულ იქნა სახლების ამჟამინდელი მდგომარეობა, შემორჩენილი პირვანდელი დეტალები და გეგმარების სახე, ასევე გამოყენებულ იქნა არსებული საარქივო მასალები, ისტორიული ცნობები, პროექტები და ჩანახატები.

აღნიშნული კვლევის შედეგებისა და სარეაბილიტაციო სახლების არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მომზადდა ზემოთ ჩამოთვლილი სახლების რეაბილიტაცია-კონსერვაციის დეტალური პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ღიობების პირვანდელი სახით აღდგენას, იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ფანჯრებისა და ვიტრაჟების მოწყობას, უსახური (ზოგან თანამედროვე ბლოკითა და აგურით) ნაშენი წყობის მოხსნას, ნაკლული და დაზიანებული ადგილების შევსებას ძველი რუსული, ზოგან ქართული აგურით. ასევე პროექტი ითვალისწინებს ხის საინტერესო ელემენტების - დეკორების და კონსტრუქციების აღდგენა-შენარჩუნებას, ასვე

შენობების ფასადების და სახურავების აღდგენას. გარდა ამისა, პროექტი მოიცავს ხის საინტერესო ელემენტების აღდგენასა და შენარჩუნებას. კერძოდ, კონსტრქციების შელესილობისგან გაწმენდას, სპეციალური ხსნარით დამუშავებას, ზოგან შეღებვას ან ტონის მიცემას, გვიანი პერიოდის დამატებითი ელემეტების მოხსნას. აღნიშნული მეთოდი სრულად დაუბრუნებს სახლების ფასადებს პირვანდელი სახეს.

პროექტი ასევე ითვალისწიენებს, რამდენიმე სახლთან ღობეების მოწყობას (45მ), ბაზალტის ტროტუარების მოწყობას და ტერიტორიის გარე განათებას.

(A) გარემოზე ზემოქმედების დადგენა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს საგრძნობი გრძელვადიანი და დადებითი ზემოქმედება ექნება არსებულ გარემოზე, კერძოდ ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტასუსის მქონე სახლების ისტორიული ღირებულების აღდგენასა და შენარჩუნებას. ასევე მოსალოდნელია მცირე უარყოფითი ზეგავლენა არსებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რომელიც მოკლე ვადიანი იქნება და შემოიფარგლება სამშენებლო აქტივობებით.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედე-ბები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	სავარაუდოდ ქვეპროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი სოციალურ ზეგავლენა სახლების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გზით. დუშეთის ურბანული რეგენერაცია ქალაქს უფრო მიმზიდველს გახდის ტურისტებისთვის. გაზრდილი ტურისტული ნაკადები გამოიწვევს დადებით სოციალურ ზემოქმედებას, დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებით და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მარშრუტების ზრდის ხელშეწყობით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა მოკლევადიანი იქნება და შემოიფარგლება მოდიფიცირებულ გარემოში მიმდინარე საშუალო მასშტაბის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დამახასიათე-ბელი ზემოქმედებით, კერძოდ: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია, გამონაბოლქვი; სამუშაოების პროცესში

	წარმოქმნილი სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობა, ფეხით მოსიარულეთათვის საიტზე მისადგომობის დარღვევა და უსაფრთხოების რისკების ზრდა. სახურავების სადემონტაჟო სამუშაოებისას მოსალოდნელია აზბესტშემცველი ნარჩენის წარმოქმნა (საერთო ჯამში 750 კვ.მ). ქვეპროექტის განხორციელებისას არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ავთენტურობის და ისტორიულ-ესთეტიკური ღირებულების დაზიანების რისკები. აგრეთვე მათი სტრუქტურული დაზიანების რისკიც, არასათანადოდ დაგეგმილი ან / და განხორციელებული სამუშაოების შემთხვევაში. თუმცა, სამუშაოები თუ სათანადოდ წარიმართება, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებას და დაიცავს მათ შემდგომი დაზიანებისგან. გამომდინარე იქიდან, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საიტზე, შმთხვევითი არეოლოგიური აღმოჩენების ალბათობა მიწის სამუშაოებისას გაცილებით მაღალია.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეო-ბასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის შესყიდვას და არ ითვალისწინებს კერძო ან იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე, კერძო საკუთრებაზე ან ბიზნესებზე მუდმივ ზემოქმედებას. ქვე-პროექტი ფარგლებში შეიძელება საჭირო გასდეს მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების დროებითი ადგილმონაცვლეობა, უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას. სამუშაოების დასრულების შემდეგ ისინი დაუბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილს. მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების სამოქმედო პოლიტიკის (OP/BP 4.12) შესაბამისად შემუშვდა შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა. გეგმის თანახმად სარეაბილიტაციო 40 შენობა

	იყოფა 83 დამოუკიდებელ სივრცედ, საიდანაც 11 არის სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო 72 წარმოადგენს კერძო საკუთრებას. ზოგადად, ქვეპროექტის განხორციელებისას ზემოქვედების ქვეშ ექცევა 100 პირი, მუშებისა და სახელმწიფო უწყების ჩათვლით. გრძელვადიანი სოციალური ზეგავლენა იქნება დადებითი. ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოასახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მოიმატებს უძრავი ქონების ღირებულება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სახლებს აღუდგებათ და შეუნარჩუნდებათ ისტორიული ღირებულება. აღნიშნული კი კურორტს საინტერესოს და მიმზიდველს გახდის ტურისტებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას და რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის დამატებითი სფეროებისა და კეძო ბიზნესის განვითარებას, დასაქმების შესაძლებლობის ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. ქვე-პროექტის განხორციელების ეტაპზე შექმნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობა დროებითი და მოკლევადიანი იქნება, რაც ნაწილობრივ, მოკლე დროით მაინც გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ პირობებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება გამოწვიოს ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის ზემოთ აღწერილმა ფაქტორებმა, რომელიც, მოკლევადიანი იქნება და შემოიფარგლება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილით.

(B) შემამსუბუქებელი ზომები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?	გამომდინარე იქიდან, რომ ქვე–პროექტი ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და სარეაბილიტაციო შენობების უმეტესობას მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, მნიშვენლოვანი ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მომხდარა. ქვეპროექტის დიზაინის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა შენობების მხატვრულ-სტილისტური კვლევა, სახლების ამჟამინდელი მდგომარეობის, შემორჩენილი პირვანდელი დეტალებისა და გეგმარების სახის, არსებული საარქივო მასალების, ისტორიული ცნობების, პროექტების და ჩანახატების გათვალისწინებით.
რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?	სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილება ადვილად იქნება შესაძლებელი: სამშენებლო მოედნის შემოფარგვლით და მის პერიმეტრზე შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებით, სატრანსპორტო საშულებების ნაკადების სწორად მართვით, სამშენებლო ტექნიკის კარგი მოვლა-შენახვით, დადგენილი სამუშაო საათების დაცვით და ნარჩენების ორგანიზებული გატანით ოფიციალურად შეთანხმებულ ტერიტორიაზე. სახიფათო (აზბესტ შემცველი) ნარჩენები უნდა მოიხსნას, შეიფუთოს, დასაწყობდეს და საბოლოო განთავსების მიზნით გატანილ იქნას დუშეთის მუნიციპალურ ნაგასაყრელზე, რომელიც მდებარეობს ქ. დუშეთიდან 3-4 კმ მანძილზე. მათი გატანა უნდა მოხდეს შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (დადგენილება №145; 29.03.2016) სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე უნდა განხორციელდეს შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა (ARAP) სარეაბილიტაციო შენობებში მცხოვრებ და მომუშავე ადამიანებზე

	უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით. მიწის სამუშაოების დროს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნებისმიერი სახის ფიზიკური სამუშაო ობიექტზე და შეატყობინოს მგფ-ს. მგფ თავის მხრივ დაუყოვნებლივ ატყობინებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც იღებს ვალდებულებას შემდეგ მოქმედებებზე. სამუშაოების განახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების საფუძველზე. მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს (NACHP-ს) შორის გაფორმებული საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სახლების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, აღდგენილი შენობების მეპატრონეებსა და NACHP-ს შორის გაფორმდება შენობების მოვლა-პატრონობის ხელშეკრულებები. ექსპლუატაციის ფაზაში წარმოქნილი მყარი ნარჩენების სათანადოდ მართვის შეთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება ან/და მინიმუმამდე შემცირება.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	მგფ-ს ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების და ურბანული რეგენერაციის პროექტების განხორციელებაში. წინა მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე პროექტი თვალისწინებს არა მარტო შენობების დაზიანებული ნაწილების შეკეთებას, არამედ მოხდება სახლების სრული რეაბილიტაცია (კედლების პირვანდელი სახით აღდგენა, სახურავების რეაბილიტაცია, კარებისა და ფანჯრების პირვანდელი სახით აღდგენა, აივნების

	და მოაჯირების მოწყობა, იატაკების რეაბილიტაცია) და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა (რეკრეაციული ზონების, საფეხმავლო ბილიკებისა და დეკორატიული გარე განათების მოწყობა).
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ რა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი შეხვდა შენობების თითოეულ მესაკუთრეს საწყისს ეტაპზე და მოიპოვა თითოეული მათგანის თანხმობები სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე. მესაკუთრეებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ მოსაზრება პროექტთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებული იქნა დეტალური პროექტის შედგენისას. კონსულტაციების დროს აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. 2018 წლის 16 იანვარს ჩატარდა შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა. განახლებული გგემა, საჯარო განხილვის ოქმით, გამოქვეყნებული იქნა მგფ-ის ვებ-გვერდზე. ქვეპროექტისთვის შემუშავებული გარემოსდაცვითი მიმოხილვის ანგარიში და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა განხილული იქნა ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრაზე 2018 წლის 23 იანვარს. შეხვედრის ოქმი თანდართულია.

(C) კატეგორიზაცია და დასკვნა

გარემოს დაცვითი სკრინინგი დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია ☐
2. ქვეპროექტი მიღებულია ■

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირე მასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოს დაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას ■
2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, გარემოს დაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით ☐

ქვე-პროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან	X*	
4	გამოიწვევს თუ არაქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ		X
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP4.12-ისა და განსახლების პოლიტიკი სჩარჩო დოკუმენტი სმიხედვით.			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		**კი**	**არა**
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები სიახლოვეს?	X	
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP- სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.			

ქვე-პროექტი ფარგლებში საჭირო იქნება მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების დროებითი ადგილმონაცვლეობა, უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას. სამუშაოების დასრულების შემდეგ ისინი დაუბრუნდებიან თავიანთ

საცხოვრებელ ადგილს. ქვეპროექტისთვის მომზადდა შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია მსოფლიო ბანკთან.

გარემოსდაცვითი მიმოხილვა

1. შესავალი

1.1. ფონური ინფორმაცია

ქ. დუშეთის ისტორიული ქუჩების ურბანული განახლების ქვე-პროექტის განხორციელება დაგეგმილია რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს. პროექტის მიზანს წარმოადგენს აღნიშნულ რეგიონებში ინფრასტრუქტურული მომსახურეობისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება, ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერით. აღნიშნული კუთხით დაგეგმილი ქმედებები რეგიონის ადგილობრივ მოსახელობას სავარაუდოდ მოუტანს პირდაპირ სარგებელს: საჯარო ინფრასტრუქტურის საიმედოობის, ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების, კერძო სექტორის ინვესტიციების მოცულობის გაზრდის, განახლებული კულტურული მემკვიდრეობის ადგილებსა და ქალაქებში გაყიდვების რაოდენობის გაზრდის (ტურიზმთან დაკავშირებული საწარმოები) გზით. საერთო ჯამში, მოსალოდნელია მოსახლეობის შემოსავლის ზრდა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. აღნიშნული პროქტის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს და 2015 წელს მიღო მსოფლიო ბანკის თანხმობა რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფინასური მხარდადჭერის (60 მლნ $) თაობაზე. პროექტის საერთო ღირებულება 75 მლნ $-ს შეადგენს, მათ შორის 15 მლნ $ აფინანსებს საქართველოს მთავრობა.

აღნიშნული ქვე-პროექტი წარმოადგენს RDP 3-ის ნაწილს და უნდა მომზადდეს, განიხილოს, დამტკიცდეს და მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებთან, რომლებიც განკუთვნილია RDP 3-ითვის.

1.2. ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საქართველოს **მუნიციპალური განვითარების ფონდი** არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურების დარგებში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის რეგიონული განვითარების მესამე პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, მათ შორის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის უზრუნველყოფაზე,

როგორც ამას მოითხოვს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი.

აღნიშნული პასუხისმგებლობის შესაბამისად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს შესათანმებლად წარუდგენს რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ქვე-პროექტებისთვის მომზადებულ საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციას. მათ შორის ქვე-პროექტების შეფასების ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დოკუმენტები, როგორიცაა სოციალური და გარემოსდავითი სკრინინგი, გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა, თანდართულ გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად ან/და გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების გეგმა. ასევე ქვე-პროექტის ხასიათიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს განსახლების ან დროებითი განსახლების სამოქმედო გეგმის მოზადება, რომლის განხოციელებაზეც პასუხიმგებელია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

პროექტის განხორცილებეში ჩართულია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და მის დაქვმდებარებაში არსებული საჯარო სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“. სამინისტრო პასუსმგებელია მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით ყოველ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშების, ფოლკლორის, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, მემორიალურ, რელიგიურ, ესთეტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ თუ სხვა კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვაზე, დაცვაზე, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე. სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ უფლებამოსილია გასცეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების წარმოების ნებართვა და მეთვალყურეობა გაუწიოს მიმდიანრე სამუშაოებს.

2. კანონმდებლობა და ნორმები

საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ კანონის თანახმად (2018) ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

ვინაიდან ქვე-პროექტის განხორციელება დაგემილია მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭრით მიმდენარე რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში, აუცილებელია არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის და მათზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება განხორციელდეს ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად. კერძოდ, შემდეგი დოკუმენტების გათვალისწინებით:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამოქმედო პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების სამოქმედო პოლიტიკა (OP/BP 4.11)
- არანებაყოფლობითი განსახლება (OP/BP 4.12)

სწორედ, აღნიშნული დოკუმენტებისა და რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, განხორციელდა ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და კულტურულ რესურსებზე მოსალდნელი ზემოქმედების სკრინინგი, რომლის საფუძველზეც ის კლასიფიცირდა, როგორც B(+) კატეგორიის პროექტი, რომელიც საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის დოკუმენტის და თანდართული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის მომზადებას.

ქვეპროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის სკრინინგის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საცხოვრებელი სახლები (სახლების საერთო რაოდენობა 40), რომელთა რეაბილიტაციაც გათვალისწინებულია ქვეპროექტის ფარგლებში წარმოადგენს კერძო საკუთრებას (მხოლოდ ერეკლე II-ის ქუჩაზე, #12 სახლში განთავსებული ბიბლიოთეკა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას). ვინაიდან აღნიშნული კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდრება მოსალოდნელი ზეგავლენის დეტალური შესწავლა და შესაძლო შედეგების განსაზღვრა, არანებაყოფლობითი განსახლების სამოქმედო პოლიტიკის (OP/BP 4.12) და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოზმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ქვეპროექტისთვის მომზადდა შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთახმებულია მსოფლიო ბანკთან.

მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს (NACHP-ს) შორის გაფორმებული საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, აღდგენილი შენობების მეპატრონეებსა და NACHP-ს შორის გაფორმდება შენობების მოვლა-პატრონობის ხელშეკრულებები.

3. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ქალაქ დუშეთის ისტორიულ უბანში მდებარე ისტორიული სახლების რეაბილიტაციას, კერძოდ ერეკლე II-ის ქუჩაზე 8 სახლი (#1, #3, #5, #7, #9, #11, #13, #12), ნაზი შამანაურის ქუჩაზე 6 სახლი (#6, #10, #14, #22, #55, #57), წმინდა ნინოს ქუჩაზე 5 სახლი (#13, #14, #16, #18, #20), შოთა რუსთაველის ქუჩაზე 13 სახლი (#14, #39, #41, #43, #51, #55, #56, #64, #68, #70, #72, #74, #76), კოსტავას ქუჩაზე 2 სახლი (#30, #32), ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე 2 სახლი (#6, #8), ასევე ცოტნე დადიანის #6 და შამანაურის #16 კვეთაზე მდებარე ე.წ აპრელოვის სახლი და ე.წ. თრატრის ქუჩაზე (#2) ცალკე მდგომი სახლი - ილია ჭავჭვაძის (ცნობილი ქართველი მწერალი) საცხოვრებელი სახლი.

სულ ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილია 40 საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია. აღნიშნული სახლებიდან 24 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ძეგლია (კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბრძანება #03/224; 12.12.2013).

სარეაბილიტაციო სახლების უმრავლესობა აშენებულია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში. იქიდან გამომდინარე, რომ მათ უმეტეს ნაწილს 2013 წლამდე არ ქონდა მინიჭებული კულტურული მეკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მათი პირვანდელი, აუთენტური სახე მრავალრიცხოვანი გადაკეთებების გამო საკმაოდ შეცვლილია. მაგალითად, ზოგან სახლების აივნები გადაკეთებულია შუშაბანდებად.

ქვეპროექტი ითვალისწინებს ძველი დაზიანებული სახურავების საფარის, ხის შეფიცვრისა და ხის კონსტრუქციების შეცვლას, კარებებისა და ფანჯრების, აივნების და კიბეების დზიანებული იატაკებისა და ჭერების, ასევე ხის საინტერესო ელემენტების - დეკორების და კონსტრუქციების აღდგენა-შენარჩუნებას.

თითოეული სახლის ფოტო მასალა და პროექტით დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების მოკლე აღწერა წარმოდგენილია დანართი 2-ის სახით.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო სახეები და ჯამური მოცულობა შემდეგია:

- შენობების გარე ფასადების რესტავრაცია/რეაბილიტაცია, კერძოდ:
- აგურის კედლების მოწყობა - 65 კუბ.მ
- თუნუქის სახურავის მოწყობა - 4780 კვ.მ
- კრამიტის სახურავის მოწყობა - 820 კვ.მ
- კარებებისა და ფანჯრების მოწყობა - 550 კვ.მ
- ხის იატაკის მოწყობა - 150 კვ.მ
- მეტლახის იატაკის მოწყობა - 90 კვ.მ
- ხის აივნების რესტავრაცია - 180 კვ.მ, მათ შორის ხის მასალის დამუშავება კომბინირებული ანტისეპტიკური ქარხნულად მომზადებული ხსნარით;
- სამღებრო სამუშაოები - ზეთოვანი საღებავი 280 კგ, ზეთოვანი ლაქი 85 კგ და წყალემულსიური საღებავი 125 კგ;
- ღობეების მოწყობა (45 კვ.მ) - აგურისა (6000 ც.) და ქვიშა/ცემენტის ხსნარის - (3 $მ^3$) გამოყენებით

პროექტი ასევე ითვალისწინებს საპროექტო მოედნის გარე პერიმეტრის კეთილმოწყობის სამუშაოებს:

- ბაზალტის გვერდულების მოწყობას;
- გარე განათების მოწყობას

ქვეპროექტით გათვალისწინებულია ყველა არსებული ქვის და ბეტონის ბორდიურის დემონტაჟი. ტროტუარები მოპირკეთედება ბაზალტის ფილებით წინასწარ მომზადებულ საფუძველზე. ეზოებში და ავტოფარეხებში შესასვლელებთან განთავსდება დაწვენილი ბორდიურები.

სარდაფში ჩასასვლელი კიბეები მოეწყობა არსებულის შესაბამისად. ქვე-პროექტი ითვალისწინებს კიბეების მდგომარეობიდან გამომდინარე, მათ გადაწყობას, მოპირკეთებას ბაზალტის ფილებით ან ახალი კიბეების მოწყობას. ყველა კიბის ჩასასვლელი გაილესება

ქვიშა-ცემენტის ხსნარით. ჩასასვლელის პერიმეტრზე ტროტუარიდან ნაწვიმარი წყლის არიდების მიზნით მოეწყობა ბორდიური კვეთით 20*10 სმ. ანალოგიური ბორდიური მოეწყობა ტროტუარზე არსებული ხეების ირგვლივ.

რუსთაველის ქუჩაზე მოხდება არსებული სანიაღვრე არხების და ცხაურების დემონტაჟი და მათ ნაცვლად მოეწყობა მონოლითური რ/ბეტონის არხები თუჯის ცხაურებით. ა/მანქანის სავალი ნაწილის ქვეშ მოწყობილი ფოლადის წყალგამტარი მილები უცვლელად დარჩება.

ჭავჭავაძის ქუჩაზე ბულვარის გასწვრივ აიყრება არსებული რიყის ქვის ქვაფენილი და დაიგება ა/ბეტონის საფარი.

გარე განათების პრექტი ითვალისწინებს ქუჩის დეკორატიული ლამპიონების მონტაჟს (მეტალის ლამპიონების საერთო რაოდენობა 117 ც; ერთსაათიანი ეკონომნათურებით, სიმაღლე 4მ).

ქვე-პროექტის ფარგლებში დაიგება ასფალტის ახალი საფარველი რუსთაველის, ჭავჭავაძის, კოსტავას, წმ.ნინოს, ერეკლესა და შამანაურის ქუჩებზე.

4. გარემოს არსებული მდგომარეობა

ქვე-პროქტისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქ. დუშეთის ცენტრალურ ნაწილში, (დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტაციული ცენტრი).თბილისიდან დაშორეულია დაახლოებით 54 კმ მანძილით. ქალაქში მოხვედრა შესაძლებელია ადგილობრივი ასფალტირეული თბილისი-მცხეთა-სტეფანწმინდა გზატკეცილის მეშვეობით.

ქალაქი მდებარეობს დუშეთის ქვაბულში, მდინარე დუშეთისხევის ორივე ნაპირზე. ზღვის დონიდან 900-მ სიმაღლეზე. ქალაქის სტრუქტურა ისტორიულად ძირითადად ჩამოყალიბებულია მდინარის მარცხენა მხარეს, სადაც ურთიერთპარალელურად და მართობულად განლაგებულია ქუჩებისა და გზების ქსელი, რომელშიც საგრძნობია მოსახლეობის სიმჭიდროვე. ვიზუალური თვალსაზრისით, ქალაქი თვითმყოფად-ბუნებრივ ლანდშაფტურ სივრცეშია ჩართული.

ტექტონიკური თვალსაზრისით, საქართველოს სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით, ქ. დუშეთის ტერიტორია განთვსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში.

ქალაქი დუშეთი მდებარეობს ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში და ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 11°C, ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერტურა 1.6°C-ია (მინიმუმი -20°C), ხოლო ყველაზე ცხელი თვე ივლისია საშუალო ტემპერტურით +21.22°C (მაქსიმუმი +39°C). ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 800-1500 მმ-ის ფარგლებშია.

2014 წლის ნოემბრის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ქალაქის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 6 167კაცი იყო (კაცი - 2 997, ქალი- 3 170), ქალაქ დუშეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში ქართველთა ხვედრითი წილი 95,1 %-იყო. ეროვნული უმცირესობიდან

ყველაზე მეტია ოსი ეროვნების მოსახლეობა, საერთო მოსახლეობის 3,5%. გარდა ამისა ქალაქში მცირე რაოდენობით ცხოვრობს რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მოსახლეობა.

ქალაქში მოქმედებს ორი საჯარო სკოლა და სამი საბავშვო ბაღი, კერძო მფლობელობაშია რსებულის შპს ,,ჯეოჰოსპიტალის" დუშეთის სამედიცინო ცენტრით, რომელიც მოიცავს ამბულატორიულ მომსახურებას, სტაციონარს და სასწრაფო გადაუდებელ სამსახურს. ქალაქში მოქმედებს ჯანდაცვის სადაზღვევო კომპანია, ასევე, კულტურის დაწესებულებები: კულტურის სახლი, ხელოვნების სკოლა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი.

ისტორიული თვალსაზრისით დუშეთს საკამაოდ ხანგრძლივი და საინტერესო წარსული აქვს. დუშეთის სახელწოდებით ისტორიულ ჩანაწერებში პირველად 1215 წელს ჩნდება. XVII საუკუნეში აქ არაგვის ერისთავთა რეზიდენცია და საბაჟო იყო. ოფიციალურად იგი ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს, 1802 წელს კი ახლადშექმნილი დუშეთის მაზრის ცენტრი გახდა. ქალაქში არის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები - წმ. გიორგის ეკლესია (IX-X სს.), ე.წ. „მოხელის დარბაზი“ (XVII ს.), ჭილაშვილების ციხე-დარბაზი (XVIII ს.), და სხვ.

ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილია 40 სახლის რეაბილიტაცია. აღნიშნული სახლებიდან 24 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ძეგლია (ბრძანება #03/224; 12.12.2013).

5. პოტენციური ზეგავლენის ანალიზი

5.1. სამშენებლო ფაზა

5.1.1. სოციალური ზეგავლენა

- <u>სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:</u> სოციალურ გარემოზე ზეგავლენა ძირითადად დადებითი იქნება, ვინაიდან ქვეპროექტი ითვალისწინებს დაზიანებული სახლების რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ქალაქში ტურისტული ნაკადების ზრდა კი ხელს შეუწყბს რეგიონში ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

  მოსახლეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მინიმალურია და დაკავშირებულია მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან, ვინაიდან სარებილიტაციო სამუშაოები გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სიმყუდროვის დარღვევას. რიგ შემთხვევაში, პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებებლია მოსახლეობას დროებით მოუწიოს საცხოვრებელი ადგილების დატოვება.

- <u>განსახლების საკითები:</u> ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი მუდმივი ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. ვინაიდან, ქვეპროექტი ითვალისწინებს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სახლების რეაბილიტაცია-რესტავრაციას, მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების

სამოქმედო პოლიტიკის (OP/BP 4.12) შესაბამისად შემუშავდა შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა. გეგმის თანახმად სარეაბილიტაციო 40 შენობა იყოფა 83 დამოუკიდებელ სივცედ, საიდანაც 11 არის სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო 72 წარმოადგენს კერძო საკუთრებას. ზოგადად, ქვეპროექტის განხორციელებისას ზემოქვედების ქვეშ ექცევა 100 პირი, მუშებისა და სახელმწიფო უწყების ჩათვლით.

- <u>**დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:**</u> ქვეპროექტის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისას, ასევე რებილიტირებული ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის სამუშაოებისას მოსალოდნელია დამატებითი სამუშო ადგილის შექმნა, რაც მოსახლეობას მისცემს დასაქმების საშუალებას და გააუმჯობესებს მათ ეკონომიკურ პირობებს. აღნიშნული დადებითი ზეგავლენა დროებითი და შეზღუდული იქნება.

- <u>**ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:**</u> აღნიშნული ზეგავლენა დაკავშირებულია სარებილიტაციო სამუშაოებთან, რომელიც შეზღუდული და დროებითია.
- <u>**სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა**</u>: ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
- <u>**უსაფრთხოება და წვდომა:**</u> ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი, თუმცა საფრთხე არ ემუქრება არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეების უსაფრთხოებას.

5.1.2. ფიზიკური ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე

ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილია 40 სახლის რეაბილიტაცია, რომელთაგან 24 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონეა (ბრძანება #03/224; 12.12.2013) და თავისთავად სარეაბილიტაციო/სარესტავრაციო სამუშაოებისას არსებობს მათი დაზიანების რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნაგებობების ისტორიული ღირებულების დაკარგვა ან დაქვეითება. ამიტომ სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა საპროექტო დოკუმეტაცია განსახილველად წარედგინოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“, რომელიც უფლებამოსილია გასცეს ძეგლზე სამუშაოების წარმოების ნებართვა.

ქვეპროექტი ითვალისწინებს არსებული შენობების რესტავრაციას, შესაბამისად დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები გათვალისწინებული არ არის და წინასწარი მონაცემებით ვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არქეოლოგიური საიტები არ არის. თუმცა არსებობს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების რისკი. სამუშაოების წარმოებისას არქეოლოგიურ მასალის აღმოაჩენის შემთხვევაში, მშენებელი კონტრაქტორი ვალდებლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამუშაოების წარმოება და შეატყობინოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აცნობოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მიიღოს ინსტრუქცია შემდგომი ქმედებების შესახებ.

5.1.3. გარემოზე ზეგავლენა

ნიადაგის დაბინძურება

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით ნიადაგის დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- დიზელის საწვავი, ზეთები, სამუხრუჭე სითხე, ანტიფრიზი (დაღვრა/გაჟონვა მანქანა/დანადგარებიდან);
- ცემენტი, ბეტონი და სხვა დამაბინძურებლები;
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის, ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები)
- სახიფათო (აზბესტშემცველი) ნარჩენები.

წყლის დაბინძურება

წყლების დაბინძურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი შლამიანი წყლებით;
- სანიაღვრე წყლებში არსებული შლამით;
- მანქანა-დანაგარების გარეცხვისას;
- დაბინძურებული მიწის ან გრუნტის წყლების ზემოქმედებით.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა სავარაუდოდ მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს მანქანა-დანადგარების მოძრაობამ/მუშაობამ ქვე-პროექტის ტერიტორიაზე და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებისას.
ზემოქმედების წყაროები შეიძლება იყოს:

- მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- მტვერი;
- გამონაბოლქვი სატრანსპორტო საშუალებებიდან, როგორც სამუშაოების ასევე მასალების მოწოდების;

სამშენებლო ნარჩენები

<u>ინერტული სამშენებლო ნარჩენები</u>

არსებული შენობების სახურავების დემონტაჟისას და საძირკვლების გამაგრების სამუშაოების შედეგად წარმოქნილი ნარჩენები, როგორიცაა;

- თუნუქის სახურავი - 12 კუბ.მ
- კრამიტის სახურავი - 17 კუბ.მ
- ხე-მასალა - 125 კუბ.მ
- სხვადასხვა ტიპის სამშენებლო ინერტული ნარჩენი (ზედმეტი გრუნტი, ქვები, ბეტონი, აგური და ლითონი) - 500 კუბ.მ

სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული სამშენებლო ნარჩენის წარმოქმნა:

- არასახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგი;
- შესაფუთი მასალები;
- სხვადასხვა ტიპის სამშენებლო ინერტული ნარჩენი (ზედმეტი გრუნტი, ქვები, ბეტონი, აგური, ხე და ლითონი).

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შედეგად, როგორიცაა:

- თხევადი საწვავი;
- ზეთები, ჰიდრავლიკური სითხე;
- ქიმიურ ნივთიერებები, მაგ. ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა ზეთისა და ქიმიური ნივთიერებების შესაწოვად;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ტილოები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

ქვეპროექტი ითვალისწინებს შიფერის (შეიცავს აზბესტს) სახურავის დემონტაჟს რომლის საერთო ფართობი 750 კვ.მ-ს შეადგენს. შესაბამისად მოსალოდნელია 8 კუბ.მ სახიფათო (აზბესტშემცველი) ნარჩენის წარმოქმნა.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

შესაძლოა ადგილი იქნეს შემდეგი სახის ზეგავლენას:

- ხმაურის და ვიბრაციის გაზრდა;
- სატრანსპორტო საცობების წარმოქმნა,
- ჰაერის დაბინძურება გამონაბოლქვით,
- გზების ატალახება,
- ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან ტექნიკური მომსახურების დროს დაბინძურება.

მცენარეული საფარი და ლანდშაფტი

ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს ხეების და ბუჩქების მოჭრას. ან/და ისეთ ქმედებებს, რომელიც საჭირეობს არსებულ ურბანულ ლანშაფტში ჩარევას და დარღვევას. ქვე-პროექტი არ გამოიწვევს ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას.

5.2. ექსპლუატაციის ფაზა

ქ. დუშეთის ისტორიულ ნაწილში საცხოვრებელი სახლების სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსალოდნელი პოტეციური ზეგავლენა შემდეგი იქნება:

- რეაბილიტირებული შენობა/ნაგებობების მესაკუთრეებმა/მოსარგებლეებმა შესაძლოა მოინდომონ დამატებითი ფართობების მიშენება ან განახორციელონ ისეთი

მიდიფიკაცია, რასაც ექნება ვიზუალური ზემოქმედება ფასადებზე და დაარღვიოს შენობების სტრუქტურული მთლიანობა;

- ტურისტების გაზრდილი ნაკადის გამო ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის გაზრდას;
- მომიმატებს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სატრანსპორტო მოძრაობა, რის გამოც შესაძლოა გაიზარდოს გამონაბოლქვი და ხმაური, ასევე წარმოიქმნას უსაფრთხოების პრობლემა.

- დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი ეკონომიკური გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების 1 მუხლის 1.7. პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს უძრავი ქონების მესაკუთრეებთან ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების გაფორმება. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვალდებულია სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის, კერძოდ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 3 ნეომბრის N05/80 ბრძანების შესაბამისად, შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია ძეგლის არსებული მდგომარეობის შესახებ და გააფორმოს ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ძეგლის დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვა და ძეგლის ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნება. გარდა აღნიშნულისა, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე.

6. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემო, ასევე კულტურულ მემკვიდრეობის წინასწარი კვლევის მასალების და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე, მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრა სავარაუდო უარყოფითი ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებები და მომზადდა გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს. გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტი და თანდართული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის სამშენებლო კონტრაქტის ნაწილი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება სავალდებულოა მშენებელი კონტრაქტორისათვის.

<u>მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია:</u>

1. უზრუნველყოს სამშენებლო მასალის შეძენა მხოლოდ ლიცენზირებული მქონე მომწოდებლისგან.
2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (მასალების სხვა მომწოდებლისგან შესყიდვის ნაცვლად), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.
3. თუ კონტრაქტორს სურს აამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (მასალის სხვა მომწოდებლისგან შესყიდვის ნაცვლად) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის სამინისტროსთან.
4. სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგასაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. უნდა მოხდეს ნარჩენების განთავსების თაობაზე ჩანაწერების წარმოება, როგორც სათანადო მართვის დამამტკიცებელი საბუთი.
5. სახიფათო (აზბესტშემცველი) ნარჩენები უნდა მოიხსნას, შეიფუთოს, დასაწყობდეს და საბოლოო განთავსების მიზნით გატანილ იქნას უახლოეს მუნიციპალურ ნაგასაყრელზე, შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (დადგენილება №145; 29.03.2016)
6. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, თუ სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოექმნება 200 ტონაზე მეტიარ ასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი ოდენობით სახიფათო ნარჩენი წლის განმავლობაში მშენებელ კონტრაქტორი ვალდებულია
   - მოამზადოს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს დასამტკიცებლად კომპანიის ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში და ნარჩენების მართვის გეგმა;
   - უნდა დაინიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია მის შესახებ.

წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების/გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ასლები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (შეთანხმებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან) და შეთანხმება ნარჩენების გატანისა და განთავსების თაობაზე უნდა წარდგენილ იქნეს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფინდში სარეაბილიტაციოს სამუშაოების დაწყებამდე.

დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
წინა-სამშენებლო ფაზა			
ზოგადი პირობები	სამშენებლო სამუშაოების შეჩერება მარეგულირებელი ორგანოების მიერ საჭირო ნებართვების არ არსებობსი გამო გარემოსთვის ზიანსი მიყენება ბუნებრივი რესურსების უნებართვო მოპოვების ანდ ნარჩენების განთავსების გამო	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის შემდეგი ნებართვების/ლიცენზიების ასლების წარდგენა: - შეთანხმება ნარჩენი გრუნტის განთავსების ადგილზე; - ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია; - გარემოზე ზემოქმედების ნებართვა იმ სამშენებლო მასალების წარმოებაზე, რომელიც განეკუთვნება ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას; - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომელიც შეთანხმებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან; - შეთანხმება საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე განთავსების თაობაზე; - შეთანხმება სახიფათო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე განთავსების თაობაზე.	მშენებელი კონტრაქტორი
ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილ საქმიანობაზე	ცუდი დამოკიდბეულება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და შესაძლო კონფლიქტები, რამაც შესაძლოა შეაფერხოს სამუშაოები	სამშენებლო მოედნებზე საინფორმაციო დაფების განათავსება, რომლებზეც მითითებულილ იქნება ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ სამშენებლო კომპანიაში, მგფ-ში, საზედამხედველო კომპანიასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ შესაძლოა მიმართოს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან	მშენებელი კონტრაქტორი,

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		დაკავშირებით საჩივრის არსებობის შემთხვევაში. სანიფირმაციო დაფა დამზადებული უნდა იყოს ამინდის უარყოფითი პირობებისადმი გამძლე მასალისაგან, ხოლო წარწერები განთავსდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.	
გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების სტრუქტურა	მშენებლი კონტრაქტორის მიერ გარემოსდაცვითი მოთხოვნების არასათანადოდ შესრულება უსაფრთხოების ზომების თაობაზე დასაქმებულების გაუფრთხილებლობა და მათი ჯანმრთელობისავის ზიანის მიყენება	- ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვაზე და EMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა - მუშახელის ტრეინინგი ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებზე - გარემოზე ზემოქმედების შესარბილებლად საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა	მშენებელი კონტრაქტორი
მშენებლობის ფაზა			
სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის: - სამშენელო მოედნის მომზადება - მიწის სამუშაოები - სადემონტაჟო	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	- მანქანა-დანადგარები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რომ არ მოხდეს მუშა-ხელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვით; - მანქანა- დანადგარების რეგულარული ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის გამო გამონაბოლქვის გაზრდის თავიდან ასაცილებლად; - დიზელის ძრავების რეგულარულად შემოწმება და მათი შეკეთება გამონაბოლქების მინიმამდე შემცირების მიზნით; - ყველა მანქანა-დანადგარი შეკეთება საჭიროებისამებრ, მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფისა და პოტენციური ემისიების თავიდან აცილების მიზნით;	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
სამუსაოები - შენობა-ნაგებობების მოწყობა - სამშენებლო ტექნიკის ექსპლოატაცია - სატრანსპორტო ოპერაციები	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	- სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა უნდა მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ემისიები (საწვავის შენახვისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული ღია ავზები); - მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება განხორციელდეს დახურული ტრანსპორტით მტვერის წარმოქნის შემცირების მიზნით. სამშენებლო ტერიტორია მოირწყას საჭიროებისამებრ; - მუშების აღჭურვა პერსონალური დაცვის საშუალებებით; - დემონტაჟის სამუშაოების დროს ტერიტორიის დატენიანება ან /და მტვრის შემაკავებლების დამონტაჟება; - გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს წარმოქმნილი ნამსხვრევებისაგან; - მიწის სამუშაოები უნდა შეჩერდეს ძლიერი ქარის დროს; - სამშენებლო მასალები და ყრილები უნდა იქნეს გადახურული; - მოჭრილი/ამოღებული გრუნტი უნდა იქნეს დასაწყობებული შესაბამისად; - აკრძალულია სამშენებლო მასალების ან ნარჩენების დაწვა; - აკრძალულია მანქანების და მძიმე ტექნიკის დაუტვირთავი მუშაობა. - ტერიტორიის რეკულტივაცია უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებისთანავე	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	- მასალების გადაზიდვისას დასახლებულ ადგილებში ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე უნდა შეზღუდოს უსაფრთხო დონემდე; - განხორციელდეს მანქანა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის პერიოდული კონტროლი და შეკეთება საჭიროებისამებრ; - სატრანსპორტო ოპერაციები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში; - აიკრძალოს ტექნიკის უქმი სვლა. გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი მაყუჩები; - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობა.	მშენებელი კონტრაქტორი
	ნიადაგის საფარის დაზიანება	- სამშენებლო ტერიტორია და მისასვლელი გზები უნდა იქნეს მონიშნული სამუშაოების დაწყებამდე; - სამუშაო ტერიტორიის საზღვრები უნდა იქნეს დაცული სამუშაოების განხორციელების დროს; - საჭიროები შემთხვევაში სამუშაო უბნებიდან ნიადაგის საფარის მოხსნა (შემლებისდაგვარად) და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით უნდა მოხდეს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (2014) მოთხოვნების შესაბამისად - ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არაუმეტეს 2 მეტრი სიმაღლის გროვებად, რომლის გვერდის დახრილობის კუთხე არ აღემატება 45^0-ს. ნიადაგის დასაწყობების ადგილის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: - დასაწყობების ადგილი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ არ მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩამოშლა, დატკეპვნა ტექნიკის მოძრაობის შედეგად, ასევე დაბინძურება სხვა მასალებით. - ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყოფილი უნდა იქნეს	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		გრუნტისაგან (ნიადაგის ქვედა ფენისაგან); - ნიადაგის დასაწყობება უნდა მოხდეს ისე, რომ არ იყოს წყლით წარეცხვის/დატბორვის საფრთხე; - დაუშვებელია ნიადაგის დასაწყობება მდინარიდან/წყლის ნაკადებიდან 25 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურების გათვალისწინებით; - დაუშვებელია ნიადაგის საფარის მოხსნა ძლიერი წვიმის დროს; - განახორციელოს დასაწყობებული ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, როგორიცაა ეროზიის საწინააღმდეგო საფარის მოწყობა, ზედაპირის დატკეპნა და/ან დაგრუნტვა. დასაწყობებული ნიადაგი დაცული უნდა იქნეს წყლის ნაკადით ჩარეცხვისაგან ბერმების ან მისი ექვივალენტის მოწყობით გროვების ირგვლივ, საჭიროებისამებრ. - დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იქნეს ტერიტორიის რეკულტივაციისათვის სამუშაოების დასრულებისთანავე. - გრუნტის ქვედა ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არა უმეტეს 3 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 60^0-ს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: - დასაწყობების ადგილი იმგვარად უნდა იქნეს შერჩეული, რომ არ მოხდეს მისი დატკეპვნა ტექნიკის მოძრაობის შედეგად ან დაბინძურება სხვა მასალებით.	
	წყლისა და ნიადაგის დაბინძურება	- პერსონალის უზრუნველყოფა ტუალეტებითა და ხელსაბანებით და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ცენტრალიზებული ჩაშვება საკანალიზაციო სისტემაში, თუ ეს შესაძლებელია ან დროებითი ნაგებობების მოწყობა - ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		- ტექნიკის საწვავით გამართვა მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილი საწვავმზიდებით, ამასთან სავალდებულოა წყვეთშემკრებების გამოყენება - ტექნიკის საწვავით გამართვა და ტექ. მომსახურება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ უბანზე, სადაც მოხსნილია ნიადაგი და მოწყობილია ხრეშოვანი საფარი, ზეთები, საწვავი და გამხსნელები დასაწყობებული უნდა იქნეს მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, საწვავის, ზეთებისა და გამხსნელების დასაწყობება არ უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ადგილის სიახლოვეს; - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო მასალების სათანადოდ დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; - სახიფათო ან ტოქსიკური მასალები დროებით უნნდა განთავსდეეს უსაფრთხო კონტენერებში შესაბამისი წარწერით (შემადგენლობა და მოპყრობის პირობები). სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი); - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ავარიული დაღვრის დაუყონებლივ ლოკალიზება და დაბინძურებლი ტერიტორიის გაწმენდა, დაბინძურებული ნიადაგის/ გრუნტის ტერიტორიიდან გატანა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე; - არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში. - სამუშაოების დასრულებისთანავე უნდა მოხდეს ტერიტორიის გაწმენდა სამშენებლო ნარჩენებისგან.	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	გარემოს დაბინძურება მყარი და თხევადი ნარჩენებით	- აკრძალულია ნარჩენების დაწვა; - დაუშვებელია ტყვია შემცველი საღებავების გამოყენება; - სხვადასხვა სახის ნარჩენები (სახიფათო, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო) უნდა შეგროვდეს სეპარირებულად. - ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი სპეციალური ადგილი და განხორციელდეს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები; - ინერტული ნარჩენები და ჭარბი გრუნტი უნდა გატანილ იქნას სამშენებლო მოედნიდან და განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე; - სახიფათო და ტოქსიკური ნარჩენები უნდა განთავსდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც მითითებული იქნება მათი შემადგენლობა და მოპყრობის პირობები; აკრძალულია სახიფათო ნარჩენების უკონტროლო განთავსება სამშენებლო ტერიტორიაზე. სახიფათო ნარჩენები უნდა მოთავსდეს გაჟონვისაგან დაცულ კონტეინერში რათა თავიდან იქნას აცილებული დაღვრა და გაჟონვები; სახიფათო ნარჩენების გადაცემა უნდა მოხდეს ასეთი ნარჩენების მართვაზე ლიცენზიის/ნებართვის მქონე კომპანიისთვის, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; - აზბესტშემცველი ნარჩენები უნდა მოიხსნას, შეიფუთოს, დასაწყობდეს და საბოლოო განთავსების მიზნით გატანილ იქნას უახლოეს მუნიციპალურ ნაგასაყრელზე, შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (დადგენილება №145; 29.03.2016)	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		- ნებისმიერი სახის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენი ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს ხშირად; - აუცილებელია ნარჩენების განკარგვის შესახებ შესაბმისი დოკუმენტაციის წარმოება, მათი სათანადოდ განკარგვის მტკიცებულების უზრუნველყოფის მიზნით.	
	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	- უნდა შეიზღუდოს ტექნიკის მოძრაობის სიჩქარე - ტექნიკის გადაადგილება მოხდეს მხოლოდ დადგენილი საათებში და წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით - უნდა შეიზღუდოს ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე	მშენებელი კონტრაქტორი
	მოსახლეობის და პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები	უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო მოედნის სათანადოდ შემოსაზღვრა და დაცვა, მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის დარეგულირება. ეს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ღონისძიებებს: - გზის მაჩვენებლების, გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების განთავსებას, რათა სამშენებლო ტერიტორია იყოს მკაფიოდ შესამჩნევი და მოხდეს საზოგადოების გაფრთხილება პოტენციური რისკების შესახებ. - სამშენებლო სამუშაოების განორციელები ადგილები და ყველა თხრილი უნდა იქნეს შემოღობილი და სათანადოდ დაცული უნებართვო შესვლისაგან, განსაკუთრებით ბავშვებისთვის; - უნდა მოეწყოს სათანადო განათება და განთავსდეს უსაფრთხოების ნიშნები; - სამუშაო საათები უნდა მორგებულ იქნას ადგილობრივ სატრანსპორტო მოძრაობის სქემასთან, მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში ან პირუტყვის გადაადგილების დროს; - უნდა მინიმუმამდე შეზღუდოს ტექნიკის მოძრაობის სიჩქარე; - ტექნიკის გადაადგილება მოხდეს მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით.	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	კერძო საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება	- ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა - მიყენებული ზიანი სრულად უნდა იქნეს ანაზღაურებული კონტრაქტორის მიერ - სამუშაოების მუდმივი ზედამხედველობა, რათა არ მოხდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტთან შეგამისობის უზრუნველსაყოფად კერძო საკუთრების დაზიანების თავიდან ასაცილებლად	მშენებელი კონტრაქტორი საზედამხედველო კომპანია
	კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან	- მოსახლეობასთან შეხვედრა (საჭიროების შემთხვევაში) - საჩივრების მიღება და მათზე რეაგირება	მშენებელი კონტრაქტორი
	პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები	- სამუშაოების დაწყებამდე მუშახელის ინფორმირება მოსალოდნელი რისკების შესახებ და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, როგორც სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ასევე მათი მსვლელობისას; - პერსონალის საჭირო პირადი დაცვის საშუალებებით (მაგ, ჩაფხუტები, ხელთათმანები, სხვა) მომარაგება და მათი სწორედ გამოყენება; - ტექნიკის ექსპლოატაციისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა; - გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება მაღლი რისკის უბნებზე; - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად რეკომენდირებული ღონისძიებების გატარება;	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე	- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო/სარესტავრაციო სამუშაოების წარმოება სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად; - სამუშაოების მიმდინარეობის მუდმივი ზედამხედველობა და სააგენოტსთან შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; - ტერიტორიის დასუფთავება და რეკულტივაცია სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე - სამუშაოების შეჩერება მიწის სასოებისას არქეოლოგიური ობიექტის ან არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება აღმოჩენის შესახებ და საქმიანობის განახლება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ.	მშენებელი კონტრაქტორი მგფ, საზედამხედველო კომპანია „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		ექსპლუატაციის ფაზა	
რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობა	მიშენებების მოწყობა ას სხვა სამუშაობიე განხორციელება, რომლებიც არ შეესაბამებიან კულტურული მემკვიდრეობის ძეგს	- მესაკუთრეებისთვის შენობებზე თვითნებური ქმედებების აკრძალვა განსახორციილებელი სამუშაოების „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-სთან წინასწარი შეთანხმების გარეშე[1]; - კულტურული მემკვიდრეობის დაცბის სააგენტოსა და რეაბილიტებული სახლების მფლოებელს შორის ხელშკრულებების გაფორმება.	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობა	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების დაზიანება	- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების დაზიანებისგან დაცვა - ბუნებრივი გარემოებებით გამოწვეული დაზიანებების დროული აღმოფხვრა; - შემდგომი სარეაბილიტაციო სამუშაოებისას წარმოქმნილი ნარჩენების განკარგვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; - მესაკუთრეებისთვის შენობებზე თვითნებური ქმედებების აკრძალვა განსახორციელებელი სამუშაოების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

[1] კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვალდებულია სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის, კერძოდ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 3 ნეომბრის N05/80 ბრძანების (იხ. დანართი) შესაბამისად, შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია ძეგლის არსებული მდგომარეობის შესახებ და გააფორმოს ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ძეგლის დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვა და ძეგლის ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნება. წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფორმას.

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		წინასწარი შეთანხმების გარეშე	
რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია	გარემოს დაბინძურება მყარი ნარჩენებით და ჩამდინარე წყლებით	- ობიექტის ტერიტორიაზე სანაგვე ურნების განთავსება - მყარი ნარჩენების რეგულარულად გატანა მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელზე, მმართველ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე - ნარჩენების წვის აკრძალვა	დუშეთის მუნიციპალიტეტი

7. საჯარო კონსულტაციები

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტი, თანდართულ გარემოსდაცვით მართვის ღონისძიებათა გეგმასთან ერთად განხილული იქნა საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ქალაქ დუშეთში 2018 წლის 23 იანვარს. ინფორმაცია ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, უნდა არის ღია და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარიისათვის.

8. გარემოსდაცვითი მონიტორინგი

მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს გარემოსდაცვითი შესაბამისობის მონიტორინგს. აღნიშნული ვალდებულების სრულყოფილად შრულების მიზნით ფონდს დაქირებული ყავს საკონსულტაციო კომპანია, როგმელიც ახორცილელებს რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარე ქვეპროექტების მუდმივ ზედამხედველობას, რომელიც ასევე გულისხმობს მშენებლო კომპანიების მიერ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორცილების ზედამხედველობას. აღნიშნული, ეხმარება მგფ-ს, უზრუნველყოფილი იქნეს განხორციელებული სამუშაოების გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობა. ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგი განხორციელდება ქვემოთ მოცემული გეგმის შესაბამისად.

საველე მონიტორინგის საკონტროლო ცხრილები უნდა შეივსოს ყოველთვიურად და თან დაერთოს ფოტო მასალა, გარემოზე ზემოქმედების გეგმის განხორციელების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილი იქნება მგფ-ის ყოველკვარტალურ ანგარიშებში. მგფ ასევე უზრუნველყოფს კონტრაქტორისაგან ყველა ნებართვის, ლიცენზიისა და შეთანხმების წერილების ასლების მიღებას და შენახვას, რომლებიც კონტრაქტორს მოეთხოვება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინერტული მასალების მოპოვებისათვის, ასფალტის ქარხნის ოპერირებისათვის, სხვადასხვა სახის ნარჩენების განთავსებისათვის და ა.შ..

9. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დარღვევის გამოსწორება

მგფ, როგორც სამშენებლო სამუშაოების დამკვეთი, უფლებამოსილია მოთხოვოს სამუშაოთა მწარმოებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაცვა, რაც თავისთავად გულისხმობს გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას.

კონტრაქტორი პასუხისმგებელია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად და ნებისმიერი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს, როგორც მგფ-ს, ასევე საზედამხედველო კომპანიას და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრა და დაფაროს მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

10. განხორციელების ღირებულება

ვინაიდან, გარემოსდაცვითი მართვის გეგმით შემოთავაზებული ცალკეული შემარბილებელი ღონისძიების განხორციელების ხარჯი მცირეა, შესაბამისად, რთულია მათი გამოცალკევება სამშენებლო ოპერაციების ხარჯებიდან. მიუხედავად ამისა, რეკომენდირებულია, რომ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული შეიცავდეს ნარჩენებისა და დარჩენილი მასალის განკარგვის პუნქტს. გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის საჭირო სხვა ხარჯები სავარაუდოდ ინტეგრირებულის უნდა იქნას სხვადასხვა სამშენებლო საქმიანობის ღირებულებაში.

11. საჩივრების გადაჭრის მექანიზმი

საჩივრების განმხილველი კომისია ჩამოყალიბდება მუნიციპალურ დონეზე. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი არ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, მისი გადამისამართება მოხდება სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში“. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდი მოახდენს რეგისტრაციას ყველა საჩივრის, კომენტარის და ასევე, როგორ მოხდა საჩივრის გადაწყვეტა. საჯარო კონსულტაციის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდება განხილულ საკითხთან დაკავშირებით და საკონტაქტო პირის შესახებ. ამასთანავე, კონტრაქტორი ვალდებულია განათავსოს საპროექტო ობიექტთან საინფორმაციო დაფა, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ მგფ-დან, საზედამხედველო კომპანიიდან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებულ მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მასალების მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი დროისა და მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია სატრანსპორტო გზების გასწვრივ დასახლებულ პუნქტებში	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	მიწის სამუშაოების პროცესში	სამშენებლო მოედნის და მისი მიმდებარე ტერიტორიის	მგფ მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;				სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება	
ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღებაკონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა.	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა დალანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
აზბესტის მართვა	აზბესტის შემცველი მასალის დემონტაჟის დროს უნდა მოხდეს ტერიტორიის დატენიანება მტვრის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და მუშები უნდა იყვნენ აღჭურვილნი სპეციალური ნიღბებითა და	სამშენებლო ობიექტზე	დოკუმენტაციის და სამუშაოების ინსპექტირება	სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.	მგფ და სამუშაოთა ზედამხედველები

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრასპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე ,რომ თავიდან იქნას აცილებული მისასვლელ გზებზე მოძრაობის შეზღუდვა.	სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შეოწმება სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება ადგილობრივი მოსახლეობის შეშფოთების შეზღუდვა	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-სთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად ტერიტორია დასუფთავებული და აღდგენილია	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	სამუშაოების მსვლელობისას	კულტურული მეკვიდრეობის ძეგლების დაზიანების და კულტურული ღირებულების დაკარგვის თავიდნ აცილება	მგფ, საზედამხედველო კომპანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამუშაოების დასრულება	ტერიტორიიდან გატანილია ნარჩენები და ზედმეტი მასალები მოჭრილი და გატანილია საწვავით ან ზეთებით დაბინძურებული ნიადაგი და ტერიტორია მოწესრიგებულია	სამშენებლო ტერიტორია და ბანაკი	ინსპექტირება	მშენებლობის დასრულების შემდგომ	სამშენებლო ტერიტორიისა და მისი მიმდებაე ადგილების დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ესპლუატაციის ფაზა						
რეაბილიტირებული ინრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა	ინფრასტრუქტურის რეგულარული მონიტორინგი და დაზიანებების დროული გამოვლენა სარემონტო სამუშაოებისას წარმომნილი ნარჩენების მართვა	მთლიანი საპროექტო ტერიტორია	ინსპექტირება	საჭიროებისამებრ	აღდგენილი ინფრასტრუქტურის დაზიანებების თავიდან აცილება ნარჩენებით გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება	დუშეთის მუნიციპალიტეტი

დანართი1: პროექტის გენგეგმა

დანართი 2. სარეაბილიტაციო სახლების და დაგემილი სამუშაოების აღწერა

ერეკლე II-ის ქუჩა #1 და #3 (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი)

პროექტი ითვალისწინებს ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე სახლების #1 და #3 ფასადის რეაბილიტაციას და სახურავის გამოცვლას.

კერძოდ, ფასადის ნალესობის შეკეთება-რესტავრაციას, კარ-ფანჯრის გამოცვლას, ფასადის მთელ სიგრძეზე გაყოლებული ხის აივნების და შუშაბანდების ჩანაცვლებას ახლით, აივნებზე ასასვლელი ხის კიბის უჯრედების მოწყობას. ასევე, ეზოს შემოვლებილი აგურის გალავნის, ხის ღობის და ლითონის ჭიშკრების დემონტაჟს და სანაცვლოდ შერეული წყობის ე.წ. კახური გალავანის მოწყობას ლითონის ჭიშკრებით და ალაყაფის კარებით. შეიცვლეება სახურავის ხის შეფიცვრა და თუნუქის საფარი.

ერეკლე II-ის ქუჩა სახლი #5 (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი)

სახლის პროექტი ითვალისწინებს ფასადის რეაბილიტაციას და სახურავის გამოცვლას.

კერძოდ, ფასადის გასუფთავებას ნალესის ნარჩენებისაგან, კარ-ფანჯრის გამოცვლას, ერეკლე II-ს ქუჩის მხრიდან ხის აივნის მიშენებას (ერეკლე II-ს ქუჩა # 9 სახლის აივნის ანალოგიური). ასევე გათვალისწინებულია ეზოს ხის ღობის და ლითონის ჭიშკრების დემონტაჟი და სანაცვლოდ შერეული წყობის ე.წ. კახური გალავანის მოწყობა ლითონის ჭიშკრით და ალაყაფის კარით. შეიცვლება სახურავის ხის შეფიცვრა და თუნუქის საფარი.

ერეკლე II-ის ქუჩა სახლი #7

პროექტი ითვალისწინებს სახლის ფასადის რეაბილიტაციას, სახურავის გამოცვლას,

ეზოში გამავალი ხის დეკორატიული აივნების რესტავრაციას და ფასადებზე გამავალი კარ-ფანჯრის შეცვლას ახლით. ფასადების რეაბილიტაცია გულისხმობს ქვიშა-ჭავლური აპარატით აგურის წყობის გასუფთავებას, დაზიანებული ადგილების

რესტავრაციას, აივნის ჭედური მოაჯირის გასუფთავებას არსებული საღებავისგან და შეღებვას, ეზოს მხრიდან ხის დეკორატიული ელემენტების ნაწილის აღდგენას, ნაწილის შეცვლას ახლით, მეორე სართულზე ასასვლელი უსახური კიბის დემონტაჟს და მის ნაცვლად ხის კიბის მოწყობას არსებული ხის დეკორატიული ელემენტების გამოყენებით. შეიცვლება სახურავის ხის შეფიცვრა და თუნუქის საფარი.

ერეკლე II-ის ქუჩა სახლი #9-#11 (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი)

ერეკლე II-ის ქუჩაზე მდებარე #9 და #11 სახლები ფაქტიურად წარმოადგენს ერთ შენობას.

#9 სახლი წარმოადგენს ორსართულიან შენობას ხის აივნებით ფასადების მთელ გაყოლებაზე. პროექტი ითვალისწინებს ფასადის ნალესობის მოცილებას და მის შეცვლას ახალი ნალესით, კარ-ფანჯრის გამოცვლას, ფასადის მთელ სიგრძეზე გაყოლებული ხის აივნების ჩანაცვლებას ახლით, პირველ სართულზე ვიტრაჟების მოწყობას და ეზოს მხარეს გამავალი აივნის შეკეთება-აღდგენას ადგილზე (დაზიანებული ელემენტების გამოცვლით), სახურავის ხის შეფიცვრისა და თუნუქის საფარის შეცვლას (კრამიტით და თუნუქის ფურცლებით).

ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე სახლი # 11 -ის ფასადის საერთო ფართია 126 მ^2, სახურავის საერთო ფართი კი 225 მ^2.

პროექტი ითვალისწინებს ფასადის ნალესობის მოცილებას და მის შეცვლას ახალი ლესვით, ნალესი კარნიზების შეკეთება-რესტავრაციას, კარ-ფანჯრის გამოცვლას, ფასადის მთელ სიგრძეზე გაყოლებული ხის აივნის ჩანაცვლებას ახლით, პირველ სართულზე ვიტრაჟების მოწყობას და ეზოს მხარეს გამავალი აივნის შეკეთება-აღდგენას ადგილზე (დაზიანებული ელემენტების გამოცვლით). უნდა შეიცვალოს სახურავის ხის შეფიცვრა და თუნუქის საფარი (დაიფაროს კრამიტით რუხი ფერის თუნუქის ფურცლებით).

ერეკლე II-ის ქუჩა სახლი #13 და #15 (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი)

ერეკლე II-ის ქუჩაზე მდებარე #13 და #15 სახლები წარმოადგენს ერთსართულიან აგურის შენობას სარდაფით. შიდა ეზო შენობას ყოფს ორ ბლოკად. მარჯვენა ბლოკი წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს. პროექტი ითვალისწინებს ფასადის რეაბილიტაციას და სახურავის საფარის გამოცვლას. ფასადის რეაბილიტაცია გულისხმობს აგურის თაღების გასუფთავებას ბლოკითა და სილიკატური აგურით ჩაშენებული ფრაგმენტებისგან, ასევე სილიკატური აგურისავე პარაპეტის შეცვლას ქართული აგურის პარაპეტით, აგურის თაღებში მოეწყობა ხის ვიტრაჟები. შენობის მარცხენა ბლოკი ფაქტიურად დანგრეულია. პროექტში გათვალისწინებულია: შენობისა და ეზოს გასუფთავება ნაგვისა და ჯაგნარისგან; მზიდი კედლების ნაწილის გამაგრება და ნაწილის ამოშენება, რკინაბეტონის სართულშუა გადახურვების და სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობა; დაზიანებული თაღებისა და აგურის პარაპეტის რესტავრაცია; სახურავის მოწყობა ხის კონსტრუქციებით, რომელიც დაიფარება რუხი ფერის თუნუქის ფურცლებით, სახურავის საფარი ასევე შეიცვლება მარჯვენა ბლოკშიც; ლითონის ჭიშკარი და ალაყაფის კარი შეიცვლება ახლით, გამაგრებული და ამოშენებული კედლები გლესება (ინტერიერში) ქვიშაცემენტის ხსნარით, აგურის რესტავრირებულ თაღებში მოწყობა ხის ვიტრაჟები.

ერეკლე II-ის ქუჩა სახლი #17

პროექტი ითვალისწინებს შენობის ფასადის რეაბილიტაციას, სახურავის გამოცვლას, შენობაში განთავსებული ბიბლიოთეკისა (214,2 მ^2) და მზრუნველობა მოკლებულთა სასადილოს (144,5 მ^2) რემონტს და ფასადებზე გამავალი კარ-ფანჯრის შეცვლას ახლით. ფასადების რეაბილიტაცია გულისხმობს ქვიშა-ჭავლური აპარატით გასუფთავებას, დაზიანებული ადგილების რესტავრაციას ადგილზე, აივნების მიშენებას ლითონის მოაჯირებით (სავარაუდოა ეს აივნები არსებობდა). ბიბლიოთეკის

წიგნსაცავი საჭიროებს კედლების, ჭერის, იატაკის განახლებას. დაზიანებული პარკეტი

შეიცვლება მაღალი ხარისხის ლამინატით, კედლებს ჩამოშორდება ნესტით დაზიანებული ნალესი და გაილესება ქვიშაცემენტის ხსნარით, მოეწყობა შეკიდული ჭერი. დაახლოებით იგივე სამუშაოები ჩატარდება მზრუნველობა მოკლებულთა სასადილოში, სველ წერტილებთან კედლებზე გაეკვრება კაფელი, ხოლო სამზარეულოსა და პროდუქტის საცავ-საკუჭნაოს იატაკები მოპირკეთდება კერამილული ფილებით. შეიცვლება სახურავის ხის შეფიცვრა და თუნუქის საფარი, გამოიცვლება სახურავის მზიდი ხის კონსტრუქციის დაზიანებული ნაწილი.

კოსტავას ქუჩა #30 (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი)

პროექტი ითვალისწინებს სახლის ფასადის რეაბილიტაციას და სახურავის გამოცვლას, კერძოდ: ფასადის გასუფთავებას ნალესის ნარჩენებისაგან, ნალესი კარნიზების აღდგენას, კარ-ფანჯრის და ბალდახინების გამოცვლას, ეზოს ღობის და ლითონის ჭიშკრის დემონტაჟს და სანაცვლოდ

და ბლოკის კედელისა და ლითონის ჭიშკრის მოწყობას, სახურავის ხის შეფიცვრის და თუნუქის საფარის შეცვლას

კოსტავას ქუჩა #32 (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი)

პროექტი ითვალისწინებს სახლის ფასადის რეაბილიტაციას და სახურავის გამოცვლას, კერძოდ: ფასადის გასუფთავებას ნალესის ნარჩენებისაგან, ნალესი კარნიზების აღდგენას,

კარ-ფანჯრის და ბალდახინის გამოცვლას, ეზოს ღობის და ლითონის ჭიშკრის დემონტაჟს და სანაცვლოდ ბლოკის კედელის და ლითონის ჭიშკრის მოწყობას, სახურავის ხის შეფიცვრისა და თუნუქის საფარის შეცვლას.

წმინდა ნინოს ქ. # 14

სახლი წარმოადგენს ერთსართულიან აგურის შენობას სარდაფით, რომელიც ძლერ დაზიანებულია. წინამდებარე რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს შემდეგ სამუშაოებს: შენობისა და ეზოს გასუფთავებას ნაგვისა და ველური ჯაგნარისგან, მზიდი კედლების ნაწილის გამაგრებას და ნაწილის ამოშენებას, რკინაბეტონის სართულშუა გადახურვების მოწყობას, სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობას, ფასადისა და შიდა კედლების გასუფთავებას არსებული ნალესის ნარჩენებისაგან, ახალი სახურავის მოწყობას ხის კონსტრუქციებით, რომელიც დაიფარება რუხი ფერის თუნუქის ფურცლებით, ლითონის ჭიშკრის და გალავნის შეცვლას ახლით, კარ-ფანჯრის ნაწილის რესტავრაციას, ხოლო ნაწილის შეცვლას ახლით, გამაგრებული და ამოშენებული კედლების გალესვას ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

წმინდა ნინოს ქ. # 16; 18; 20

წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე სახლების ## 16; 18; 20 რებილიტაციის პროექტი ითვალისწინებს ფასადების რეაბილიტაციას და სახურავების გამოცვლას.
დღევანდელი მდგომარეობით სახლი # #16, ერთსართულიანი სარდაფით, საჭიროებს ფასადის ნალესობის და ნალესი კარნიზების შეკეთება-რესტავრაციას, კარ-ფანჯრის გამოცვლას, ფასადზე გამავალი და სარდაფში ჩასასვლელი კიბის რეტავრაციას (მოპირკეთდება ბაზალტის ფილებით).

სახლი #18 წარმოადგენს ორსართულიან აგურის შენობას, რომლის პირველი სართული შელესილია უხარისხოდ, მეორე სართული კი წარმოადგენს აგურის უსახურ წყობას. პროექტი ითვალისწინებს ფასადის უხარისხო ლესვის მოცილებას, მთელი ფასადის ლესვას ქვიშაცემენტის ხსნარით, კარ-ფანჯრის გამოცვლას და კიბის საფეხურების რესტავრაციას.

სახლი # 20 - ორსართულიანი აგურის შენობა ხის აივნით. მთელი ფასადი გაიწმინდება უხარისხო და დზიანებული ნალესისგან, გამოიცვლება კარ-ფანჯარა, ღია აივანს ჩაუტარდება რესტავრაცია (აივნის ელემენტების დიდი ნაწილი შეიცვალება ახლით), ფასადი გაილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით.
სამივე სახლზე შეიცვლება სახურავის ხის შეფიცვრა და რუხი ფერის თუნუქის საფარი, ფასადზე მოეწყობა ბაზალტის ცოკოლი.

წმინდა ნინოს ქ. # 19

პროექტი ითვალისწინებს შენობის ფასადის რეაბილიტაციას და სახურავის გამოცვლას. დღევანდელი მდგომარეობით სახლი # 13-ის, ერთი ნაწილი ორსართულიანია, ნაწილი კი ერთიანი.

პროექტი ითვალისწინებს ფასადის უხარისხო ლესვის მოცილებას, მთელი ფასადის ლესვას ქვიშაცემენტის ხსნარით, კარფანჯრის გამოცვლას და კიბის საფეხურების რესტავრაციას. მთლიანად უნდა შეიცვალოს სახურავის ხის შეფიცვრა და თუნუქის საფარი (დაიფაროს რუხი ფერის თუნუქის ფურცლებით). მოეწყობა წყალგადამყვანი ღარები და მილები, ფასადზე მოეწყობა ბაზალტის ცოკოლი.

შოთა რუსთაველის ქუჩა ## 39; 41; 43; 45; 51;

<u>**სახლი #39**</u> წარმოადგენს ორ სართულიან აგურის შენობას, რომელიც შემდგომ გალესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. პროექტი ითვალისწინებს არსებული ნალესის მოხსნას, ხელახლა გალესვას და შეღებვას. სახურავის წყალშემკრები ძაბრების და წყალჩამომშვები მილების გამოცვლას; მეორე სართულის კარ-ფანჯრისა და პირველ სართულზე სადარბაზოს კარის რესტავრაციას. პირველ სართულზე დიდი კარებისა და ფანჯრის გამოცვლას, სადარბაზოში შესასვლელი კიბის საფეხურების მოპირკეთებას ბაზალტის ფილებით, აივნის მოაჯირის გაწმენდას და შეღებვას.

სახლი #43-41 წარმოადგენს ორ სართულიან აგურის შენობას სარდაფით. პროექტით გათვალისიწინებულია ფასადის რეაბილიტაცია, სახურავის დაზიანებული ხის

კონსტრუქციების 20%-ით, სახურავის შეფიცვრის, თუნუქის სახურავის გამოცვლა; სარდაფის და პირველი სართულის კარ-ფანჯარის გამოცვლა, ხოლო მეორე სართულის კარფანჯარას ჩაუტარდება რესტავრაცია, გაკეთდება ახალი ვიტრაჟები და სადარბაზოს კარს ჩაუტარდება რესტავრაცია. შენობაში შესასვლელი კიბეები მოპირკეთდება ბაზალტის ფილებით.

სახლი #43-ის აივნის მოაჯირი გაიწმინდება და შეიღებება, ხოლო #41-ის აივანი, სადაც ფილა არსებობს გაუკეთდება იდენტური ჭედური მოაჯირი და შეიღებება.

<u>სახლი #45</u> წარმოადგენს ორ სართულიან აგურის შენობას სარდაფით. პროექტი ითვალისწინებს ფასადის რეაბილიტაციას, ნალესის მოხსნას და აპარატით გასუფთავებას. სახურავის შეფიცვრის, თუნუქის სახურავის გამოცვლას და ფასადის რესტავრაციას; ორივე სართულის კარ-ფანჯარის და სარდაფის კარების გამოცვლას. აივნის მოაჯირის გაწმენდას და შეღებვას.

<u>სახლი #51</u> წარმოადგენს ერთ სართულიან აგურის შენობას სარდაფით. პროექტით გათვალისიწიებულია ფასადის რეაბილიტაცია, შენობაზე გაკეთებული ფარდულის მოხსნა და ახლის გაკეთება, ვიტრაჟების, კარ-ფანჯარის და სარდაფის კარის გამოცვლა, აგრეთვე შენობაში შესასვლელი კიბეების მოპირკეთება ბაზალტის ფილებით.

შოთა რუსთაველის ქუჩა # 68

შენობა წარმოადგენს ერთ სართულიან ნაგებობას. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შენობის ფასადის სრული რეაბილიტაცია რუსთაველის ქუჩის

მხრიდან. შენობის რეკონსტრუქცია მოხდება ფართის შეუცვლელად; პროექტის ფარგლებში მოხდება არსებული კარების, ფანჯრებისა და ცხაურების დემონტაჟი; კარ-ფანჯრების ღიობების ამოშენებული ნაწილების მოხსნა; სახურავის ძველი თუნუქის ბურულისა და წყაკშემკრები მილის მოხსნა; სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციებისა და სამერცხლურის დემონტაჟი; ფასადის გაწმენდა ძველი ნალესობისგან ქვიშის ჭავლური აპარატით. სარეკოსტრუქციო სამუშაოები კი ითვალისწინებს: სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციების აღდგენას, სამერცხლურის მოწყობას ეზოს მხრიდან; სახურავის ბურულის და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობას; ძველი ნალესობის მოხსნის შემდგომ გამოვლენილი ფასადის დაზიანებული ელემენტების აღდგენას; ლითონის ცხაურიანი ხის კარებისა და ფანჯრების მონტაჟს; ახალი კარის წინ ბაზალტის ფილებით მარტივი პროფილის კიბის საფეხურის მოწყობას. დემონტაჟის დრო დაზიანებული ინტერიერის ნაწილების (საინჟინრო ელემენტები) აღდგენა-რემონტს;

შოთა რუსთაველის ქუჩა #70

საპროექტო შენობა წარმოადგენს ორ სართულიან ნაგებობას. პროექტით გათვალისწიებულია შენობის ფასადის სრული რეაბილიტაცია რუსთაველის ქუჩის მხრიდან. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში: მოხდება არსებული კარების, ფანჯრებისა და ლითონის ჭიშკრის დემონტაჟი; პირველ სართულზე კარისა და ფანჯრის ღიობების ამოშენებული ნაწილების მოხსნა; სახურავის ძველი თუნუქის ბურულისა და წყალშემკრები მილის მოხსნა; სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციებისა და შეფიცვრის დემონტაჟი; ფასადის გაწმენდა ძველი ნალესობისაგან ქვიშის ჭავლური აპარატით. სარეკოსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში გათვალისიწინებულია სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციების აღდგენა, სამერცხლურის მოწყობა ეზოს მხრიდან; ჭიშკრის ძველი გაბარიტების აღდგენა; სახურავის ბურულის (რუხი ფერი) და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობა; ძველი ნალესობის მოხსნის შემდგომ გამოვლენილი ფასადის დაზიანებული ელემენტების აღდგენა; ხის კარებისა და ფანჯრების მონტაჟი; ლითონის ჭიშკრის მონტაჟი; ფასადის შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეღებვა; ახალი კარის წინ ბაზალტის ფილებით მარტივი პროფილის კიბის საფეხურის მოწყობა. დემონტაჟის დრო დაზიანებული ინტერიერის ნაწილების (საინჟინრო ელემენტები) აღდგენა-რემონტი.

შოთა რუსთაველის ქუჩა #72

ამ მისამართზე განთავსებულია ორი საპროექტო ნაგებობა, ერთი ორ სართულიანი შენობა მანსარდული სართულით და მასზე მიდგმული ერთ სართულიანი შენობა. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შენობის ფასადის სრული რეაბილიტაცია რუსთაველის ქუჩის მხრიდან. შენობის რეკონსტრუქცია არ გამოიწვევს არსებული ფართის ცვლელებას. პროექტი ითვალიწინებს არსებული კარების დემონტაჟს, სახურავის ძველი თუნუქის ბურულისა და წყალშემკრები მილის მოხსნას, სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციებისა და შეფიცვრის დემონტაჟს, ფასადის გაწმენდას ძველი ნალესობისაგან ქვიშის ჭავლური აპარატით, სახურავის

დაზიანებული ხის კონსტრუქციების აღდგენას; სახურავის ბურულის და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობას; ძველი ნალესობის მოხსნის შემდგომ გამოვლენილი ფასადის დაზიანებული ელემენტების აღდგენას; მანსარდის სართულის დაუმთავრებელი კედლის ამოშენებას და ქვიშა-ცემენტის ხსნარით შელესვას. ხის კარებისა და ფანჯრების მონტაჟს; ფასადის შელესვას ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეღებვას, ახალი კარის წინ ბაზალტის ფილებით მარტივი პროფილის კიბის საფეხურის მოწყობას.

შოთა რუსთაველის ქუჩა #74

შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას სარდაფით. შენობის მხატვრული ღირებულება საკმაოდ მაღალია და ისტორიულ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით

იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქუჩის საერთო იერსახის შექმნაში. პროექტის მიხედვით გათვალისიწინებულია შენობის ფასადის სრული რეაბილიტაცია რუსთაველის ქუჩის მხრიდან. შენობის რესკონსტრუქცია ხდება ფართის უცვლელად. სარეკონსტრუქციო სამუშაოების მოიცავს: არსებული კარების, ფანჯრებისა და ცხაურების, აივნის გადახურვის მეტალო-კონსტრუქციის და ხის იატაკის დემონტაჟს; სახურავის ძველი თუნუქის ბურულისა და წყაკშემკრები მილის მოხსნას; სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციებისა და სამერცხლურის დემონტაჟს; ფასადის გაწმენდას ძველი ნალესობისაგან (სარდაფი) ქვიშის ჭავლური აპარატით, სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციების აღდგენას, სამერცხლურის მოწყობასეზოს მხრიდან; სახურავის ბურულის და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობას; ძველი ნალესობის მოხსნის შემდგომ გამოვლენილი ფასადის დაზიანებული ელემენტების აღდგენას; ლითონის და ხის კარების მონტაჟს, ფანჯრების მონტაჟს, შესასვლელი კარის წინ ბაზალტის ფილებით მარტივი პროფილის კიბის საფეხურის მოეწყობას. სარდაფის კიბის და მოაჯირის მონტაჟს; დემონტაჟის დროს დაზიანებული ინტერიერის ნაწილების (საინჟინრო ელემენტები) აღდგენა-რემონტს; აივნის იატაკი შეცვლას ახალი საფარით; აივნის მოაჯირის გაწმენდას და შეღებვას მეტალის საღებავით.

შოთა რუსთაველის ქუჩა #76

პროექტი ითვალისიწინებს ფასადზე ნალესობის მოხსნას ფასადის დაზიანებული ელემენტების დემონტაჟს, არსებული თუნუქის სახურავის დემონტაჟს, სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციის დემონტაჟს, კარ-ფანჯრების ბლოკის დემონტაჟს, სარდაფში ჩასასვლელი კიბის გაწმენდას, მოაჯირის დემონტაჟს, სარდაფის კედლის

დემონტაჟს, ფასადის გაწმენდას ქვიშის ჭავლური აპარატით, კედლის დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენას, კარ-ფანჯრების მონტაჟს, ფასადის გალესვას ქვიშა-ცემენტის ხსნარით, სახურავის ხის კონსტრუქციის მონტაჟს, სახურავის საფარის მონტაჟს რუხი ფერის თუნუქის ფურცლებით, წყალშემკრები მილების მონტაჟს, კარ-ფანჯრის ბლოკების შეღებვას, მეტალის მოაჯირის მოწყობას, ბაზალტის საფეხურების მოწყობას, სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობას სარდაფის მოაჯირის მონტაჟს და სამღებრო სამუშოებს.

აპრელოვის სახლი

ქ. დუშეთში დადიანის და შამანაურის ქუჩების კუთხეში არსებული აპრელოვის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელის რეაბილიტაციის პროექტიც წარმოდგენილია, სარესტავრაციო ანალიზის და საარქივო მასალის საფუძველზე, მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

სახურავის რეაბილიტაცია - სახურავის ბურვილის და მოფიცვრის შეცვლა მთლიანად, შენობის სახურავზე კრამიტის, ხოლო აივნის სახურავზე თუნუქის საფარის მოწყობა, გადახურვის ხის კონსტრუქცის ფრაგმენტულ გამაგრებას, ფასადებზე არსებული აივნის და შუშაბანდის რეაბილიტაციას - ხის სვეტებისა და მოაჯირების გადაწყობა, ახალი ხის რიკულების და შუშაბანდის ვიტრაჟების დამზადება-დაყენებას, აივნის იატაკის და ჭერის შეფიცვრის (ლამფა) მთლიანად შეცვლა.

ფასადებზე გამომავალი კარფანჯრები შეცვლა გათვალისწინებულია არ არის,

გაიწმინდება, დამუშავდება და შეიღებება ორმხრივად ზეთოვანი საღებავით, ოთხივე ფასადის არსებული ნალესობა და შერეული ქვის წყობა გაიწმინდება, დამუშავდება და შეკეთდება, ფასადებზე განთავსებული კიბეები შეკეთდება, შეიცვლება და შეიღებება, შენობის გასწვრივ მოეწყობა ბეტონის სარინელი რომელიც შენობას დაიცავს ნალექებისგან, შეიცვლება დადიანის და შამანაურის მხრიდან არსებული შერეული ღობეები და ჭიშკრები.

ილია ჭავჭავაძის სახლი

შენობა თეატრის ქუჩაზე, რომელშიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე, ამჟამად ამორტიზებულია და

საჭიროებს აუცილებელ გადაუდებელ რეაბილიტაციას. პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ გარე იერსახის აღდგენას, რაც გამოიხატება ფასადების, შუშაბანდის და ფასადებზე გამომავალი კარ ფანჯრების ხის ნაკეთობების და დეკორის აღდგენა-რეაბილიტაციაში. პროექტი არ ითვალისწინებს ინტერიერიერში ჩასატარებელ სამუშაოებს. ყველა ხის ელემენტი დეკორი და კარ ფანჯარა დამუშავდება და შეიღებება ზეთოვანი საღებავებით.

ილია ჭავჭავაძის ქუჩა #6 და #8

ჭავჭავაძის ქუჩა მდებარეობს ერეკლე II-ესა და შამანაურის ქუჩების პერპენდიკულარულად. პროექტის ფარგლებში მოხდება **სახლი #6-**ის ავრიული სახურავის შეცვლა მუქი ნაცრისფერი თუნუქით და ფასდების დაზიანებული ნაწილები აღდგენა-შეღებვა.

სახლი #8-ის სარეაბილიტაცო სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია აგურის ფასადების აღდგენა და ქვიშა-ჭავლური აპარატით გაწმენდა. ასვე სარეაბილიტაციო მონაკვეთზე გათვალისიწინებულია ღობის, 3 ახალი ხის ჭიშკარის მოწყობა და 1 კარის რეაბილიტაცია.

ილია ჭავჭავაძის ქუჩა #10

ერთსართულიანი ძველი რუსული აგურით ნაშენი შენობა,

მდებარეობს შამანაურის და ჭავჭავაძის ქუჩის კვეთაზე და მისი ორი ფასადი გამოდის ამ ქუჩებზე, შენობას აქვს სარდაფი და დაბალი პარაპეტით ორივე ქუჩის მხრიდან, გადახურულია ჩვეულებრივი შავი თუნუქით.
პროექტი ითვალისწინებს არსებული სახურავის დემონტაჟს და ახალ ხის ნივნივებიან კონსტრუქციაზე მუქი ფერის თუნუქის ფენილის მოწყობას. ფასადის ქვიშის ჭავლური აპარატით გაწმენდას, არსებული კარ-ფანჯარის შეცვალას ხის კარ-ფანჯრით, შესასვლელი ხის კარების რესტავრაციას, პირვანდელი სახით. შესასვლელი კარების თავზე ლამაზი ლითონის მარკიზეტის აღდგენას. აგურის წყობის აღდგენას, აგურებს შორის გამოლესვას არსებულის ანალოგიურად. შესასვლელი კიბის გადაწყობას. წყლის გადამყვანი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღარების სისტემის მოწყობას.

ნაზი შამანაურის ქუჩა # 6

სახლი წარმოადგენს ორსართულიან, ძველი რუსული აგურით ნაგებ და ჩვეულებრივი შავი თუნუქით გადახურულ შენობას. პროექტი ითვალისწინებს არსებული გადახურვის გამოცვლას და ახალ ხის ნივნივებიან კონსტრუქციაზე მუქი ფერის თუნუქის ფენილის და წყლის გადამყვანი ღარების მოწყობას. ხის კარ-ფანჯარის გამოცვლას, შესასვლელი ხის კარების და რკინის მარკიზეტის აღდგენას პირვანდელი სახით. შენობაზე გვიანდელი მინაშენის მონგრევას, მის ადგილზე მეტალის კონსტრუქციის მოწყობას, რომელიც გაამაგრებს გაბზარულ კედელს, მონგრეული მინაშენის აღდგენას, ფასადზე ქუჩის მხრიდან არსებული დაზიანებული აგურის წყობის გამოლესვას და ფასადის გაწმენდას ქვიშა-ჭავლური ხელსაწყოთი, შამანაურის ქუჩის მხრიდან ალაყაფის კარების გამოცვლას, ხის აივნის ჩამოშლილი ნაწილის გასუფთავებას, არსებული კიბის გაუქმებას, აივნის დაზიანებული ხის კონსტრუქციის ცვლილებას და ახალი ხის სვეტებით გამაგრებას ორივე სართულზე. რესტავრაცია ჩაუტარდება ხის აივნის კონსტრუქციებსა და დეტალებს.

ნაზი შამანაურის ქუჩა # 22

ერთსართულიანი აგურით ნაშენი შენობაა, რომელიც მოგვიანებით გალესილია, შენობის ერთი ფასადი გადის წმინდა ნინოს ქუჩაზე. გადახურულია თუნუქით რომელიც შეღებილია. შენობას აქვს სარდაფი, ქუჩის მხრიდან უშნო მინაშენი და პატარა ეზო,

რომელიც შემოსაზღვრულია უსახო ღობით.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების ჩატარება: სახურავის საფარის და ხის კონსტრუქციების მოხსნა, აგურის კედლების გაძლიერება რკინაბეტონის სარტყელით, ახალი სასხვენე გადახურვის, სანივნივე კონსტრუქციების, შეფიცვრის და თუნუქის სახურავის საფარის მოწყობა, ღობის დანგრევა და ახლის აშენება აგურით;

უშნო მინაშენის დანგრევა და ქუჩის მხრიდან ახლის აშენება, რომელსაც შესასვლელი გაუკეთდება ბინიდან, ძველი ნალესის მოხსნას, ახლად გალესვას და შეღებვას, გარე პერიმეტრზე განთავსებული ხის კარფანჯარა შეიცვლება, შეიღებება და ფასადებს დაუბრუნდება პირვანდელი სახე.

ნაზი შამანაურის ქუჩა # 14

შენობა წარმოადგენს ერთსართულიან აგურით ნაშენ უსახო ნაგებობას რომელიც მოგვიანებით გალესილია და გადახურულია აზბესტის შემცველი ტალღოვანი შიფერით. შენობა ავარიულია და საჭიროებს სერიოზულ კონსტრუქციულ სამუშაოებს.

პროექტით გათვალისწინებულია სახურავის არსებული საფარის და ხის კონსტრუქციების დემონტაჟი, აგურის კედლების გაძლიერება რკინაბეტონის სარტყელით და ახალი სასხვენე გადახურვის, სანივნივე კონსტრუქციების, შეფიცვრის და სახურავის საფარის მოწყობა, აივნის მოწყობა ახალი კონსტრუქციებით: რკინაბეტონის გადახურვა, გამკრავი კოჭები, სვეტები, იატაკი, ჭერი, აივნის კედლები. კედლების ნაწილი ამოშენდება ჩვეულებრივი წითელი აგურით. კედლებზე არსებული ნალესი ჩამოიყრებაა, ქუჩის მხარეს გადახრილ და დაბზარულ კედლებზე გაეკვრება მავთულბადე და გაუკეთდება აგურის პერანგი, მოეწყობა ხის ახალი კარ-ფანჯრები, შამანაურის ქუჩის მხარეს აივნის კუთხიდან მოსაზღვრე სახლის ეზოში შესასვლელი ჭიშკრის თაღამდე მოეწყობა ღობე აგურის წყობით და ჭიშკარი.

შამანაურის ქუჩა #12

ორსართულიანი ძველი რუსული აგურით ნაგები შენობა, მდებარეობს შამანაურის და რუსთაველის ქუჩების კუთხეში, დახურულია თუნუქით. შენობას აქვს საკმაოდ ვრცელი სარდაფი, სადაც

ჩასასვლელი რუსთაველის ქუჩიდანაა.

პროექტი ითვალისიწინებს არსებული სახურავის დემონტაჟს და ახალ ხის ნივნივებიან კონსტრუქციაზე მუქი ფერის თუნუქის ფენილის მოწყობას. ეზოში შესასვლელი კარების ჩამონგრეული აგურის თაღის და კარების, შამანაურის ქუჩიდან სახლში შესასვლელი კარების, თაღიანი ღიობის და შენობის კუთხის, სახლის ხის კარების აღდგენას. პირველ სართულზე ვიტრაჟების რესტავრაციას - ძველი საღებავისაგან გაწმენდას და ახლიდან შეღებვას. დაზიანებული აგურის პერანგის, ასევე აივნის და კიბის ხის დეკორატიული ელემენტების გაწმენდას და აღდგენას, კარ-ფანჯარის მთლიანად შეცვლას, პირველი სართულის ვიტრაჟების, სარდაფების გაწმენდას და გასუფთავებას, პარაპეტის აღდგენას და რესტავრაციას.

ნაზი შამანაურის ქუჩა # 55

შენობა წარმოადგენს ძველი რუსული აგურით ნაშენ ნაგებობას, ქალაქის და ქუჩისათვის დამახასიათებელი აგურის დაწვენილი თაღებით.

პროექტით გათვალისიწინებულია ძველი სახურავის დემონტაჟი და ახალ ხის ნივნივებიან კონსტრუქციაზე მუქი ფერის თუნუქის ფენილის მოწყობა. მეორე სართულის აგურის ფასადის აღდგენა და გაწმენდა, აგურებს შორის ზოლების გამოლესვა, კარ-ფანჯარის რესტავრაცია, ყველა აგურის დეკორატიული ელემენტის აღდგენა, რკინის აჟურული აივნის და პირველი სართულის დეკორატიული ნალესობის რესტავრაცია, ხის ალათიანი ვიტრაჟების და დეკორატიული სანათების შეკიდვა.

ნაზი შამანაურის ქუჩაზე #57

სახლი წარმოადგენს ერთსართულიან აგურის შენობას, უკანა მხარეს ეზოთი. შამანაურის ქუჩიდან მარცხენა კუთხეში განთავსებულია მაღაზია, შემდეგ საცხოვრებელი ფართი, დანარჩენი ნაწილის იატაკები და ჭერი

დანგრეულია. შენობა რადენიმეჯერმე გადაუკეთებიათ და შეულესიათ.
პროექტით გათვალისწინებულია ფასადის რეაბილიტაცია და სახურავის გამოცვლა, კერძოდ, ფასადზე არსებული ნალესის მოხსნა და გასუფთავება ნაგვისაგან, დაზიანებული მზიდი კედლების გამაგრება, დაზიანებული თაღების, პარაპეტის რესტავრაცია, ახალი სახურავის მოწყობა ხის კონსტრუქციებით, რომელიც დაიხურება მუქი ნაცრისფერი თუნუქის ფენილით, ლითონის ჭიშკრის შეცვლა ხის ჭიშკრით, ამოშენებული და გამაგრებული ადგილების გალესვა ქვიშაცემენტის ხსნარით, რუსთაველის და შამანაურის ქუჩების მხრიდან ძველი ნალესის მოხსნა, გალესვა ახლიდან და შეღებვა მაღალხარისხიანი წყალმედეგი საღებავით.

შოთა რუსთაველის ქუჩა #14

შენობა წარმოადგენს ორსათულიანი ნაგებობას, რომლის პირველი სართულის კედლები ნაშენია რიყის ქვის და აგურის შერეული წყობით, მოგვიანებით კი კედელები შეუსელიათ. მეორე სართული აგურისაა. სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს არსებული სახურავის დემონტაჟს და ახალ ხის ნივნივებიან კონსტრუქციაზე მუქი ფერის თუნუქის ფენილის მოწყობას. ცემენტის ნალესობის მოხსნას პირველ სართულზე და ძველი წყობის აღდგენას, მთელ პერიმეტრზე აგურის ფასადის გაწმენდა-აღდგენას. ლითონის აივნის აღდგენას. კარ-ფანჯარის შეცვლას, დეკორატიული ელემენტების აღდგენას. დეკორატიული სანათების დადგმას.

შოთა რუსთაველის ქუჩა #19

ქვე-პროექტით გათვალისიწნებულია ფასადი დაზიანებული ნაწილების შეკეთება და სამღებრო სამუშაოები.

რუსთაველის ქუჩა # 64

სახლი წარმოადგენს შერეული წყობით ნაშენ ორ სართულიან შენობას, აგურის წყობით სარკმელების გარშემო და რიყის ქვით. პროექტით გათვალისწინებულია შენობის ფასადის სრული რეაბილიტაცია რუსთაველის ქუჩის მხრიდან. შენობის რეკონსტრუქცია ხდება ფართის უცვლელად. ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდეგია: არსებული კარების, ფანჯრებისა და ცხაურების დემონტაჟი; სახურავის ძველი თუნუქის ბურულისა და წყაკშემკრები მილის მოხსნა; სახურავის დაზიანებული ხის კონსტრუქციებისა და სამერცხლურის დემონტაჟი; ფასადის გაწმენდა ძველი ნალესობისაგან ქვიშის ჭავლური აპარატით, ფასადის დაზიანებული ელემენტების დემონტაჟი, კედლის დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა კარ-ფანჯრების მონტაჟი, ფასადის გალესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით, სახურავის ხის კონსტრუქციის მონტაჟი, სახურავის საფარის მონტაჟი რუხი ფერის თუნუქის ფურცლებით, წყალშემკრები მილების მონტაჟი, კარ-ფანჯრის შეღებვა, ბაზალტის საფეხურების მოწყობა.

რუსთაველის ქუჩა # 56

რუსთაველის ქ.#56 ში მდებარეობს ყოფილი ბანკის შენობა, რომელიც წარმოადგენს ორსართულიან აგურის ნაგებობას ქანობიანი, კრამიტის და თუნუქის შერეული სახურავით. პროექტით გათვალისწინებულია შენობის ფასადების და დაზიანებული აივნების რეაბილიტაცია. შენობის ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები მოცავს შენობის აგურის კედლების გაწმენდას ქვიშა ჭავლური აპარატით და მოსაპირკეთებელ სამუშაოებს. ამავე მეთოდით დამუშავდება აგურის ღობე და საკვამლე მილები. ხის კარ-ფანჯრები გაიწმინდება, დამუშავდება და შეიღებება ზეთოვანი საღებავით. ფასადებზე გამომავალი ორი პარადული კარი შეიცვლება ახლით არსებული კარის თარგების შესაბამიმსად. ამორტიზებული ხის ნაკეთობები, ხის აივანი ორივე სართულზე და ხის კიბე მოიხსნება და დამზადდება თავიდან. შეიცვლება სახურავის ამორტიზებული

ბურვილი და ეზოს მთავარი ჭიშკარი, შეკეთდება ლითონის კიბე. შიდა ეზოში შენობის პერიმეტრზე და ღობის გასწვრივ მოეწყობა ბეტონის სარინელი, რომელიც დაიცავს შენობას ნალექისაგან.

დანართი 3. საჯარო განხილვის ოქმი

2018 წლის 23 იანვარი
დუშეთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ოქმი
რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი (RDP III)
ქ. დუშეთის ისტორიული ქუჩების ურბანული განახლება
საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა გარემოსდაცვითი მიმოხილვის ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხილვის მიზნით

2018 წლის 23 იანვარს 15:00 საათზე, ქ. დუშეთის გამგეობის შენობაში გაიმართა ქვე-პროექტის **„ქ. დუშეთის ისტორიული ქუჩების ურბანული განახლება“** გარემოსდაცვითი მიმოხილვის ანგარიშის და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვე-პროექტთან დაკავშირებით დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებისა და მათი თავიდან აცილების გზების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები: კახა შალიკაშვილი, ჟუჟუნა ქაშიაშვილი, ხათუნა კარიაული, არჩილ ჩხუტიაშვილი, მაია ნავაძე, იოსებ ღარიბაშვილი, ნიკო ღუდუშაური, ამირან ძლიერიშვილი, შალვა ინაშვილი, შადი ხადადი, ოთარ ველთაური.

დუშეთის კულტურის სახლის წარმომადგენლები: კახაბერ ხუციშვილი, რუსუდან პარკაული.

არასამთავრობო ორგანიზაციის - კავშირი სამოქალაქო განვითარებისათვის წარმომადგენლები: ლია როინიშვილი, ბელა წვერაძე.

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები: დარიკო კიზიკაშვილი, ნატო ხახიშვილი, დავით დაიაური, ანატოლი ჯახაშვილი, სერგი კარიაული, ალბერტ ყეინაშვილი, იზოლდა ჯავახიშვილი, ციური ვარსიმაშვილი, ნინო ხაჭაპურიძე, ელზა შუშიაშვილი, ლედი გოგიშვილი, ელენე ელყანაშვილი, მაია როშნიაშვილი, მედეა ფეიქრიშვილი, ოლღა ხულუზაური, ნანა მიქელიშვილი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

1. ანა რუხაძე - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური,
2. ნუცა გუმბერიძე - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური,
3. ნესტორ ჩხეიძე - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური,
4. თემურ ქარენაშვილი - პროექტების შეფასების სამსახური.

შეხვედრა გახსნა ნესტორ ჩხეიძემ, რომელმაც დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია მგფ-ს შესახებ, გააცნო შეხვედრის მიზანი, ქვე-პროექტის ძირითადი მიზნები და ქვე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.

ანა რუხაძემ პრეზენტაციის სახით წარმოადგინა ქვე-პროექტის ფარგლებში მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი მიმოხილვა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტებისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილების ან შერბილებისთვის. აღნიშნა, რომ პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას, ამიტომ ყველა პროცედურა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ა. რუხაძემ ისაუბრა გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის შინაარსსა და სტრუქტურაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს დოკუმენტით განსაზღვრული, სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, მიმოიხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ა. რუხაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები/წინადადებები	**პასუხები და კომენტარები**
რა ქმედებების განხორციელება შეუძლია მოსახლეობას პროექტის მიმდინარეობის პერიოდში შემწუხებელი ფაქტორების წარმოქმნის შემთხვევაში, როგორიცაა მტვერის და ჭარბი წარმოქმნა, ხმაური და გარემოს დაბინძურება ნარჩენებით?	გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომელიც მიმართული მტვრის ჭარბი წარმოქნის, ასევე, ხმაურის მინიმუმამდე შესამცირებლად, თუმცა მათი თავიდან აცილება სრულად შესაძლებელი არ არის. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ასევე მოიცავს ღონისძიებებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. კონტრაქტორი ვალდებულია განახორციელოს შემარბილებელი

	ღონისძიებები. მოსახლეობას შეუძლია დაუყონებლივ მიმართოს საკონტაქტო პირებს მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო ინფორმაცია წარმოდგენილია სლაიდზე, ასევე, სამშენებლო მოედანზე განთავსდება დაფა შესაბამისი ინფორმაციით.
ეკლესიის შემოსვის სამუშაოების წარმოების დროს სახურვიდან ჩასულმა წყლამ დააზიანა რამდენიმე ფრესკა. ვისი პასუხისმგებლობა იქნება დაზიანებული ფრესკების აღდგენა?	მუნიციპალური განვითარების ფონდი, ასევე საზედამხედველო კომპანია შეისწავლიან აღნიშნულ საკითხს. ვინაიდან, ეკლესია მოხატული იქნა რამდენიმე წლის წინ, ფრესკები აღდგეა არ იქნება დაკავშირებული სირთულეებთან.
მოსახლეობისათვის და საზოგადოებისათვის რებილიტაციის სრული პროექტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი.	დაინტერესებულ პირებს პროექტის დეტალების გაცნობა შეუძლიათ მუნიციპალური განვითრების ფონდში. ფონდის წარმომადგენლებმა პროექტი ინდივიდუალურად დეტალურად განიხილეს იმ სახლების მესაკუთრეებთან ერთად, რომელთა რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი პროექტის ფარგლებში.
სახლების ნუმერაცია საპროექტო დოკუმენტაციაში არის დამაბნეველი. სახლებს რეალურად სხვა ნომრები აქვთ მინიჭებული	სახლების ნუმერაცია საპროექტო დოკუმენტაციაში ეყრდნობა საჯარო რესტრის მონაცემებს. საპროექტო დოკუმენტაციაში ასევე მოცემულია თითოეული სახლის ფოტომასალა.
როდის მოხდება სამუშაოების დაწყება?	ჯერჯერობით პროექტის განხორციელებაზე უნდა მივიღოთ საბოლოო თანხმობა მსოფლიო ბანკიდან, რის შემდეგაც გამოცხადდება ტენდერი. სავარაუდოდ, გაზაფხულიდან უკვე შეასძლებელი იქნება სამუშაოების დაწყება.
ჭავჭავაძის #10 სახლის კედელი ძლიერ ნესტიანია, რეაბილიტაციის განმავლობაში მოხდება თუ არა ჰიდროიზოლაცია?	პროექტი ითვალისწინებს როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ჰიდროიზოლაციას

შესაძლებელი არის თუ არა სარდაფში ჩასასვლელი კიბის გადახურვა?	სარდაფში ჩასასვლელი კიბის გადახურვა პროექტით არ არის გათვალისწინებული, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ფასადის პირვანდელი სახის აღდგენა
რეაბილიტაციის შემდგომ შესაძლებელი იქნება თუ არა ფასადის მხარეს გამათბობელის გამწოვის მოწყობა?	რეაბილიტაციის მიზანია ფასადი პირვანდელის სახის აღდგენა და, ცხადია, დამატებითი ჩარევა არ არის მიზანშეწონილი. იმ შემთხვევაში თუ სახლი არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მასზე ნებისმიერი ჩარევა უნდა განხორციელდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.
მოსახლეობამ წამოჭრა საკითხი დუშეთში, მათ შორის, პროექტის არეალში კანალიზაციის მოუწესრიგებლობის თაობაზე,	რეგიონული განვითარების მესამე პროექტი არ მოიცავს საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას დუშეთში.
რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში თავდაპირველად დუშეთში იგეგმებოდა გაცილებით მეტი ქვე-პროექტი. რატომ მოხდა ქვე-პროექტების შემცირება?	ქვე-პროექტების თავდაპირველი ჩამონათვალი წარდგენილი და განხილული იქნა დაინტერსებულ მხარეთა საკონსულტაციო შეხვედრებზე. ყველა დაინტერსებულ მხარესთან კონსულტაციებისა და დისკუსიების შედეგად, ასევე, მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით მოხდა იმ ქვე-პროექტების შერჩევა, რომელთა მხარდაჭერაც მოხდება RDP3-ის ფარგლებში.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

შეხვედრის ოქმი მოამზადა ანა რუხაძემ.
2018 წლის 23 იანვარი

ფოტო მასალა:

დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

MDF
HUMANITARIAN DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი

ქ. დუშეთის ისტორიული ქუჩების ურბანული განახლება

ქმე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

23 იანვარი, 2018

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	0. 551092545	[illegible]
2.	[illegible]	[illegible]	0. 599684521	[illegible]
3.	[illegible]	[illegible]	555-67-04-06	[illegible]
4.	[illegible]	[illegible]	5-74-88-91-61	[illegible]

5.	[illegible]	[illegible]	[illegible] 593388517	[illegible]
6.	[illegible]	[illegible]	[illegible] 2-18-04	[illegible]
7.	[illegible]	[illegible]	577-67-65-34	[illegible]
8.	[illegible]	[illegible]	555472870	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	593-300-250	[illegible]
10.	[illegible]	[illegible]	599-26 64-15	[illegible]
11.	[illegible]	[illegible]	555-15-57-83	[illegible]
12.	[illegible]	[illegible]	599-00-22-12	[illegible]

13.	ზაზაეული ხუსეინი	ლოგიკურ სკოლის სახელმწ	593.10.64.43	ხ. ზაზაეული
14.	ჰოშტარიშვილი მარი	ეკონომისტი	551 27-07-30	მ. ჰოშტარიშვილი
15.	ფალავანდიშვილი ბელა ხუდოფაროვი ალიოლა	ეკონომისტი ეკონომისტი	593630360 598-37-53-83	ბ. ფალავანდიშვილი ალ. ხუდოფაროვი
16.	მიქელაძეშვილი ნანა	ეკონომისტი	595 55 88 49	ნ. მიქელაძე
17.	თარხან ვეფოლოევი	ლოგიკის მასწავლებელი	593 211 778	თ. ვ.
18.	ფირცხალავა ზურაბიშვილი	ლოგიკის მასწავლებელი	599 46 05 87	
19.	მარია ნიკოლაძე	ლოგიკის მასწავლებელი	595-220-340 598-58-33-76	
20.	თამარ ფირცხალავა	ლოგიკის მასწავლებელი	568-10-29-13	

21.	[illegible]	[illegible]	599 55 65 81	[illegible]
22.	[illegible]	[illegible]	599 58 27 81	[illegible]
23.	[illegible]	[illegible]	555-43-08-79	
24.	[illegible]	[illegible]	558 59-97-44.	
25.	[illegible]	[illegible]	5-77-07-04-05	[illegible]

26. [illegible] 591 11 45 07 [illegible]

27. [illegible] 598533990 [illegible]

28. [illegible] 568820966 [illegible]

29. [illegible] 595-37-03-98